აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№25 (24.905) ხუთშაბათი, 17 - 18 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით თოვლჭყაპი, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 1-6, შიდამთიან რაიონებში - 0-3 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 768 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

„კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ჩვენი პოზიცია სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით, არის უცვლელი“

„გვინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია სანქციებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, „ომის პარტია“, ნაციონალური მოძრაობის სახით, ღიად ვერ ბედავს საუბარს სანქციების დაწესებისა და საქართველოს სამხედრო კონფლიქტში ჩართვის სურვილის შესახებ. თუმცა, ყველა მათი პროვოკაცია სწორედ ამისკენ არის მიმართული,“ - განაცხადა გუშინ, 16 მარტს „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. მისი თქმით, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ამ კამპანიაში „ნაციონალების“ უცხოელი ლობისტებიც აქტიურად ჩაერთნენ, რომელთა განცხადებები ოპოზიციურმა ტელეარხებმა გააშუქეს. ისინი საქართველოს ხელისუფლებას სანქციების მიერთებისკენ მოუწოდებდნენ.

„მათი აშკარა მიზანია, ხელისუფლებამ მიიღოს ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხისთვის უკიდურესად საზიანო გადაწყვეტილებები, დააწესოს ეკონომიკური სანქციები და ქვეყანა ჩართოს ომში, რაც საქართველოსთვის და ქვეყნის მოსახლეობისთვის უმძიმესი შედეგების მომტანი იქნება... ამასთან დაკავშირებით, გვინდა შეგახსენოთ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთისთვის სანქციები არ დაუწესებია მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ომის შედეგად, რუსეთმა განახორციელა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. დაიდუპა ასეულობით სამხედრო და სამოქალაქო პირი, დევნილად იქცა ჩვენი ქვეყნის 30 ათასი მოქალაქე, რუსეთმა დაბომბა ქართული ქალაქები, სრულად გაანადგურა ასეულობით ქართული სოფელი, ქართული ეკლესიები და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლები... ამ ყველაფრის მიუხედავად, 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთისთვის სანქციები არ დაუწესებია არც საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას. მეტიც, საქართველოს ხელისუფლებამ, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, 2010 წელს ნაწილობრივ, ხოლო 2012 წელს სრულად შემოიღო უვიზო მიმოსვლის რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის. 2012 წლის შემდეგ, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, რუსეთთან გაფართოვდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. წინა თუ მოქმედი ხელისუფლების არცერთ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არავის, ვიმეორებთ - არავის, არავითარი კრიტიკული შენიშვნა არ გამოუთქვამს. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ხელისუფლების ნაბიჯები მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის, მათ შორის, რუსეთსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ასი ათასობით ჩვენი მოქალაქის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა... ბუნებრივია, ჩვენი სოლიდარობა უკრაინის მიმართ განსაკუთრებულია. თუმცა, გაუგებარია, როგორ შეიძლება მოგვთხოვონ სანქციების დაწესება უკრაინაში მიმდინარე რუსული სამხედრო აგრესიის გამო, როდესაც ეს საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგაც კი არ გაუკეთებია. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ „ომის პარტიას“ „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, თუ სანქციების დაწესებას ემხრობიან, კეთილი ინებონ და ფარული აგიტაციის, პროვოკაციების მოწყობისა და უცხოელი ლობისტების დაქირავების ნაცვლად, ღიად ისაუბრონ ამაზე.

ეკონომიკური სანქციების დაწესებით, საქართველოს ხელისუფლება ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს რუსეთს, საკუთარ ქვეყანასა და მოსახლეობას კი უმძიმესი დარტყმის ქვეშ დააყენებს. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ჩვენი პოზიცია სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით არის უცვლელი და ამ პოზიციას ვერავითარი პროვოკაციების, ფარული კამპანიების თუ უცხოელი ლობისტების მეშვეობით, ვერავინ შეგვაცვლევინებს....

ვიმეორებთ, რომ საქართველო არ შეუერთდება რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს. უკრაინის პოლიტიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება უკომპრომისოდ და პრინციპულად დგას და იდგება ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე“, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძე უკრაინაში პრემიერის შესაძლო ვიზიტის თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ საკითხი ფართო კონსულტაციების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებთან. მისი განმარტებით, ამ კონსულტაციებს, პირველ რიგში, საფუძვლად უნდა დაედოს უსაფრთხოების რისკების ანალიზი.

მოამზადა
ანკა ჩხიკვაძემ

კრიალოსანი

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ რეზოლუცია ქვეყნის პარლამენტმა 111 ხმით მიიღო. „საქართველომ წარმატებას რომ მიაღწიოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, პირველ რიგში, გვჭირდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საჭირო მხარდაჭერა გვქონდეს,“ - განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილმა. მან კოლეგებს რეზოლუციის პროექტი წარუდგინა, სადაც გაუღერებულია ის ძირითადი გზავნილები, რაც ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანებისთვის სჭირდება.

* * *

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს პრემიერ-მინისტრებს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ირაკლი ღარიბაშვილმა და მარკ რუტემ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, საქართველოს ევროინტეგრაცია და ორმხრივი ურთიერთობები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიერ ევროკავშირში გაწევრიანებაზე წარდგენილ განაცხადებზე. „ევროკომისიის დადებითი გადაწყვეტილება წარდგენილ განაცხადებთან დაკავშირებით, დამატებითი სტიმული იქნება რეფორმების წარმატებით გაგრძელებისთვის“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

„ქართული ოცნება“ არ წარმოადგენს საქართველოს ინტერესებს და ქართველ ხალხს, მაშინ როცა საზოგადოების ერთიანი მოთხოვნაა, საქართველომ მხარი დაუჭიროს დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებს, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ლევან ბეჟაშვილმა. დეპუტატი გამოეხმაურა პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბრიფინგს, სადაც ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მიუხედავად „ომის პარტიის“ მცდელობისა, მათი პოზიცია სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით არის უცვლელი. „პოზიციას ვერავითარი პროვოკაციების, ფარული კამპანიების თუ უცხოელი ლობისტების მეშვეობით ვერავინ შეგვაცვლევინებს“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

* * *

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივას არეგისტრირებს, რომელიც რუსეთის რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ქვეყნის სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობას უკრძალავს. „ჩვენი მწირი ბიუჯეტიდან თანხა რუსულ ეკონომიკაში არ უნდა მივმართოთ“, - აღნიშნა პარტიის წევრმა ლევან ხაბეიშვილმა ინიციატივაზე საუბრისას.

მოამზადა
ია შველიძემ

სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამართლის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს

რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე, მიზნებსა და ამოცანებზე სტუმრებს ესაუბრა ამავე საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაში. საბჭოს წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს აჭარაში მოქმედი „ქალთა ოთახების“ საქმიანობაზე, მათი გაძლიერება-ხელშეწყობის აუცილებლობასა და ამ კუთხით გასატარებელ ღონისძიებებზე.

„საქართველოში USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა გიორგი ჩხეიძემ და ამავე პროგრამის სხვადასხვა მიმართულების მენეჯერებმა, პროგრამის ფარგლებში, გენდერის თვალსაზრისით შესაძლო თანამშრომლობის მიმართულებებზე ისაუბრეს და აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან აქტიური ურთიერთობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. დაიგეგმა ერთობლივი შეხვედრა რეგიონში მოქმედი „ქალთა ოთახების“ წარმომადგენლებთან, მათი საჭიროებების უკეთ შესწავლისა და მხარდაჭერის მიზნით.

USAID-ის სამართლის უზენაესობის 5-წლიან პროგრამას საქართველოში აშშ-ში დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაცია - აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტი (EWMI) პარტნიორ ორგნიზაციებთან ერთად ახორციელებს. 25 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტის მიზანია საქართველოში მართლმსაჯულების ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის, ასევე მართლმსაჯულებაზე ყველასათვის ხელმისაწვდომობისა და ამ ინსტიტუტებზე მოქალაქეთა და ინსტიტუციური ზედამხედველობის გაძლიერება. პროგრამა იანვარში დაიწყო და 2026 წლის ბოლოს დასრულდება“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

მოამზადა
ია შველიძემ

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! ▫ 27-48-93

არჩილ ჩიქოვანი ანა ჩერნიშოვას შეხვდა

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა შეხვედრა გამართა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ანა ჩერნიშოვასთან

შეხვედრაზე ისაუბრეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხების ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე, რომელსაც ბათუმის მერია და UNDP-ი ახორციელებს.

არჩილ ჩიქოვანის თქმით, პლასტმასით დაბინძურება დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევაა, რომლის დაძლევისთვის აუცილებელია, თითოეულმა ადამიანმა გაიაზროს პრობლემის არსი და იზრუნოს ნარჩენების წარმოქმნის შემცირებაზე.

პროექტის ფარგლებში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, კონკრეტულად კი, პლასტმასის ნარჩენისათვის დამზადდა გამჭვირვალე 15 კონტეინერი, რომელიც სამ ლოკაციაზე განთავსდა. შეგროვებული და აღრიცხული ნარჩენი ბათუმის „სანდასუფთავების“ სამსახურს გადაეცემა. აღნიშნული საპილოტე პროექტი ერთდროულად ხორციელდება თბილისსა და ბათუმში.

გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილის ანა ჩერნიშოვას თქმით, პლასტმასის ნარჩენები პრობლემას უქმნის მთელ მსოფლიოს და მათ შორის, ბათუმსაც. UNDP-ი მხარს უჭერს ბათუმის მერიას, რათა ქალაქი გახდეს უფრო მეტად მწვანე.

- მნიშვნელოვანია, რომ პლასტიკური ნარჩენების დიდი ნაწილი სრულ გადამუშავებას ექვემდებარება და ამ რესურსის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა ნივთის შექმნა, დაბინძურების შემცირება და ჩვენი საერთო გარემოს დაცვა. პროექტის საშუალებით ჩვენ შევძლებთ დავგეგმოთ და დავნერგოთ ნარჩენების მართვის ყველაზე ეფექტიანად მიჩნეული მეთოდი, - აღნიშნა შეხვედრისას არჩილ ჩიქოვანმა.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს პროექტის - „მწვანე ქალაქები: ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“ შესახებ. UNDP-ი, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით, მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარებასა და სათბური გაზების ემისიების შემცირების პროექტების განხორციელებაში.

კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამები

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ირმა აფხაზავა და მირიან ქათამაძე მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებს შეხვდნენ და კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამებზე ისაუბრეს

შეხვედრაზე მოადგილეები ფერმერებს ესაუბრნენ კოოპერაციული ბიზნესმოდელის უპირატესობებზე, კოოპერატივებისა და ასოციაციების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, მთავრობის პოტენციურ სუბსიდიებზე, საკრედიტო და საგრანტო პროგრამებზე. შეხვედრაზე ასევე, განიხილეს სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების ხელშეწყობისთვის დაგეგმილი შედავათები და პროგრამები.

სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა, კოოპერატივების სამომავლო განვითარება, შესაბამისი პროგრამებისა და ქვეპროგრამების უზრუნველყოფა.

სამინისტრო აქტიურ კომუნიკაციას აგრძელებს მოსახლეობასთან, მათი პრობლემებისა და საჭიროებების დეტალურად შესწავლის მიზნით, რათა აღნიშნულის საფუძველზე ფერმერებს გაუჩნდეთ მოტივაცია, ჩაერთონ ამ პროექტებში, გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და გაიუმჯობესონ შემოსავლები.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აგრარული განვითარების და პროგრამების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები.

სოლიდარობა - უკრაინელ ხალხს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის ნიგაზეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა უკრაინელი ხალხისადმი სოლიდარობის ნიშნად აქცია მოაწყვეს და რუსული ოკუპაცია დაგმეს

სკოლის დირექტორმა შაქრო ხიმშიაშვილმა, პედაგოგებმა, უფროსკლასელებმა თავიანთ გამოსვლებში მხარდაჭერა გამოუცხადეს მოძმე უკრაინელებს, ისაუბრეს რუსი ოკუპანტების ბარბაროსულ ქმედებებზე.

- სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ცალკეულ მოვლენებს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ყოველთვის ვეხმაურებით. უკრაინელებს მატერიალურადაც გავუწიეთ თანადგომა. შეგროვებული თანხით მედიკამენტები, არამალფუჭებადი პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები შევიძინეთ და შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შეგროვილ ტვირთს შევუერთეთ. სკოლაში გამართულმა სოლიდარობის აქციამ დაგვანახა, რომ მომავალი თაობა განიცდის იმ ტკივილს, რაც რუსმა ოკუპანტებმა მათ თანატოლებსა და უკრაინელ ხალხს მიაყენეს, - გვითხრა შაქრო ხიმშიაშვილმა.

ინტელექტუალური თამაში - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ინტელექტუალური თამაში გაიმართა

ინტელექტუალურ თამაშში ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული გუნდები მონაწილეობდნენ, დაისვა ინტელექტუალური შეკითხვები, რომლებიც სპეციალურად ამ თამაშისთვის დაიწერა.

მონაწილე 8 გუნდს შორის გამოვლინდა პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები: „არტემისი“, „რუბიკონი“ და „თეთრი წინდა“, რომელთა წევრებიც საპრიზო ადგილის შესაბამისად, სპორტული მაღაზიის 50-50-ლარიანი და საკანცელარიო მაღაზიის 30-ლარიანი ვაუჩერებით დასაჩუქრდნენ. თამაშს უძღვებოდნენ ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის მოხალისეები ანრი დიასამიძე და ლუკა შუშანიძე.

ინტელექტუალურ თამაშში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

„უკრაინა დღეს იბრძვის ჩვენი მომავლისთვის, უსაფრთხოებისა და მსოფლიოს მშვიდობისთვის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მსოფლიო ახალი რეალობის წინაშეა, დასავლეთსა და რუსეთს შორის გააფთრებული ბრძოლა ახლა უკრაინაზე გადის. სწორედ ამ ქვეყანაში წყდება, გარკვეულწილად, ევროპის და, მათ შორის, საქართველოს ბედიც. რუსეთი ფართომასშტაბიან აგრესიას ახორციელებს უკრაინის მიმართ. მთელმა მსოფლიომ დაგმო კრემლის ქმედებები, რუსეთს დაუწესდა ეკონომიკური სანქციები, მოსკოვი კი ბირთვული ომით იმუქრება.

მოსალოდნელია თუ არა ომის არეალის ზრდა? ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე პასუხისთვის ბსუ-ის ასოცირებულ პროფესორს, საერთაშორისო სამართლის ექსპერტ **ლევან ჯაყელს** *მივმართეთ.*

- ამჟამად დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონი უკრაინაა. რა მიზანი ამოძრავებთ როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს უკრაინასთან მიმართებით?

- დაპირისპირების მწვერვალია შეიარაღებული კონფლიქტი უკრაინაში. მოგეხსენებათ, ეს ურთიერთობის ერთგვარი ფორმაა, ოღონდ - ძალაზე დამყარებული. ამ ომით ირკვევა, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი ამოწურეს მხარეებმა და ახლა ერთმანეთის დარწმუნებას საკუთარ სიმართლეში ძალის დემონსტრირებით აპირებენ, რაც არასასურველია. სამწუხაროდ, მოხდა ეს ომი, რასაც ვერ გავექცევით. რაც შეეხება კონკრეტულ კითხვას: რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური დივიდენდებია. უფრო მეტად რუსეთისთვისაა ასე, დასავლეთისთვის - ეკონომიკური დივიდენდები. საერთოდ, დასავლეთი ყოველთვის იყო ორიენტირებული ეკონომიკურ პრინციპებზე, ეკონომიკურ წარმატებაზე და ნაკლებად - პოლიტიკურზე, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე, შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რა მოხდება უკრაინაში.

ზესახელმწიფოდ, რომ რამე დაუთმოს. როგორც ვხედავთ, არ გაურიგდა დასავლეთი რუსეთს და მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი. რუსეთი არ დათმობს თავის მოთხოვნას, მას სურს სარტყელი თავის გარშემო, ანუ პოლიტიკური გავლენები პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასე ვთქვათ, მისი გარანტირებული ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში და დღეს ახდენს ამის დემონსტრირებას. ის საერთაშორისო დანაშაულზეც წამსვლელია - უკან დასახევი გზა არ აქვს. რუსეთში ვგულისხმობ პუტინს, ის ერთპიროვნული მმართველია, თავად იღებს გადაწყვეტილებებს, მას ამბიციები გააჩნია, რაც უკრაინაში ხდება, მისი ინდიკატორია, შესაბამისად, რუსეთის მიერ საერთაშორისო დანაშაულის ასე ღიად ჩადენა მეტყველებს, რომ პუტინი უკან დახევას ჯერჯერობით არ აპირებს. ამ მხრივ დასავლეთმა უნდა ამოიცნოს ეს ფაქტორი და მიიღოს შესაბამისი ზომები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასავლეთმა უნდა აგრძნობინოს რუსეთს, რომ ის არ შეეგუება რუსეთის აგრესიას უკრაინაში და მისი გავლენის სფეროების დაკანონებას. საამისოდ დასავლეთს დღევანდელზე მეტის გაღება მოუწევს.

> *„ყველაზე დიდი სანქცია იქნება, თუ ჰაააგის სასამართლოში წარდგენილი დასაბუთებული ბრალის შემთხვევაში, გამოიტანენ პუტინის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს და საერთაშორისო დამნაშავედ ცნობენ. ბევრს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა - დააკავებენ თუ არა პუტინს და როგორ აღსრულდება განაჩენი?*

- პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

- ძალიან რთულია ახლა პროგნოზი, თუმცა ფაქტია, რომ გაოცებას ვერ მალავს ვერც დასავლეთი და ვერც რუსეთი. როგორც ჩანს, ისინი არ ელოდნენ უკრაინელთა ასეთ თავდადებას, თავგანწირვას სამშობლოსთვის. უკრაინელი ხალხი იტანჯება და ყველაზე დიდ საფასურს იხდის ამ ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებისთვის. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი აგრესიას ახორციელებს უკრაინის მიმართ (მსგავსი აგრესია რუსეთმა 2008 წელს საქართველოს მიმართაც ჩაიდინა), რაც დასავლეთის შეშფოთებას იწვევს.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი ფართომასშტაბიანი ომი არ მომხდარა. რუსეთის შეკავება დასავლეთმა ადრე რატომ ვერ შეძლო?

- მე ასე არ ვიტყოდი, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში უამრავი კონფლიქტი, შეჯახებები მომხდარა. მაგალითად, ვიეტნამში - ამერიკის, ავღანეთში კი საბჭოთა კავშირის მხრიდან. უბრალოდ, მაშინ ის არეალი საბჭოთა კავშირის და აშშ-ის დაპირისპირების ერთგვარი პოლიგონი იყო, სადაც დაზარალებული ხალხის წარმოჩენა, აფიშირება არ იყო მიზანი, ანუ იქაური მსხვერპლის წარმოჩენით გავლენას ვერავინ მოიპოვებდა მაშინ, ახლა კი უკრაინაში სერიოზული საფრთხე შეიქმნა. უბედურების ზარი გაისმის და, შესაბამისად, საჭიროა უკიდურესი ზომების მიღება, რაც სხვა განზომილებაა, რადგან ერთია, ეს მოხდეს აზიაში, აფრიკაში და მეორე - ევროპაში, ნატოს საზღვრებთან ახლოს, უკრაინაში. ამიტომ საუბრობენ გამოკვეთილად ამ ომზე, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე მსოფლიოს მართლწესრიგისთვის. რაც შეეხება ამის პრევენციას, დიდი ხანია მუშაობს დასავლეთი, მიმართავს ზომიერ ეკონომიკურ სანქციებს, დიპლომატიას, მაგრამ რუსეთის პრინციპული პოზიცია არ იცვლება. მას სურს საბჭოთა კავშირის ანალოგიური გაერთიანების შექმნა და აშშ-თან პოლიტიკური გავლენების ძველებურად გადანაწილება, რასაც ეწინააღმდეგება დასავლეთი. აშშ-ს არ მიაჩნია რუსეთი ისეთ

- დასავლეთი ნაკლებად ელოდა უკრაინისგან ასეთ მძლავრ წინააღმდეგობას...

- როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი და არა როგორც პოლიტოლოგი, უბრალოდ, მარტივად ვფიქრობ: სახელმწიფო, რომელიც არ არის მზად ომისთვის, ამას ვერ გააკეთებდა. შესაბამისად, მაქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უკრაინა ელოდა რუსეთის თავდასხმას, ეს ფაქტია. რუსეთი კი არ ელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. ალბათ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. ყველანაირი ფაქტობრივი მონაცემი არსებობს, რომ რუსეთს ინვენტარი, სიმბოლიკა ჰქონდა ჩატანილი უკრაინაში, ანუ მოსკოვს 1945 წლის 9 მაისის გამარჯვების აღლუმის ჩატარება ჰქონდა დაგეგმილი კიევში. არ გამოუვიდა! უნდა დავასკვნათ, რომ პუტინი იყო მრჩევლების მაამებლურ გარემოცვაში, მას ეუბნებოდნენ მხოლოდ იმას, რაც სიამოვნებდა, ხოლო რეალური მდგომარეობა მაქსიმალურად დაუმალეს. რუსეთი ასეთ გაჭიანურებულ კონფლიქტს არ ელოდა. მისი იდეა იყო, ბლიცკრიგით გაევლო უკრაინა, ორ დღეში აეღო კიევი და ერთ კვირაში დაელაგებინა სიტუაცია - დაესვა იქ მარიონეტული ხელისუფლება. კრემლი ასევე არ ელოდა მძლავრ ეკონომიკურ სანქციებს, რაც დასავლეთმა განახორციელა. თუ იგი აქამდე მხოლოდ აღმოსავლეთ უკრაინაში პრორუსული მთავრობის ჩამოყალიბებას გეგმავდა, ახლა ის მთლიანად უკრაინის ანექსიას ცდილობს.

- სანქციების გამკაცრება თუ შეიძლება?

- რა თქმა უნდა, სანქციების გამკაცრება შეიძლება. ჯერ ეს არის რაციონალური დასავლური სანქციები, რაც რუსეთის აღშფოთებას იწვევს, თუმცა სერიოზული სანქციები ჯერ კიდევ წინ არის. მაგალითად, შეიძლება ვილაპარაკოთ ბლოკადაზე, ემბარგოზე, სამხედრო ოპერაციებზე... ამ მხრივ ყველაზე დიდი სანქცია იქნება, თუ ჰაააგის სასამართლოში წარდგენილი დასაბუთებული ბრალის შემთხვევაში, გამოიტანენ პუტინის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს და საერთაშორისო დამნაშავედ ცნობენ. ბევრს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა - დააკავებენ თუ არა პუტინს და როგორ აღსრულდება განაჩენი? ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ქვეყანას ეყოლება ჰაააგის სასამართლოს მიერ საერთაშორისო დამნაშავედ ცნობილი პირი და ეს უკვე არა მარტო კონკრეტული პირის, არამედ მთელი ქვეყნის დისკრედიტაციაა და არა მგონია, ვინმე მოლაპარაკებების მაგიდასთან დაუჯდეს სისხლის საერთაშორისო სასამართლოში გასამართლებულ პირს და მასთან ხელი მოაწეროს რაიმე შეთანხმებას, რადგან ამგვარი შეთანხმებები იქნება დისკრედიტირებული და სხვა სამართლებრივ განზომილებაში განიხილება რუსეთთან ურთიერთობა.

- ვხედავთ, რომ რუსეთი აშანტაჟებს დასავლეთს ბირთვული ომის გაჩაღებით.

- ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ის უკან დახევას არ აპირებს. რუსეთი თუ იმ დონემდე დასუსტდება, რომ გამარჯვებას ვეღარ მიაღწევს, აუცილებლად მოახდენს ბირთვულ კატასტროფას, თუმცა, ვფიქრობ, ბირთვულ ღილაკს არ გამოიყენებს, უბრალოდ, მოახდენს უკრაინის ტერიტორიაზე განთავსებული რეაქტორების დეტონაციას. ევროპა თვითონ უნდა ხვდებოდეს, რომ ბირთვული კატასტროფის საფრთხე რეალურია და შესაბამისი პროტოკოლით უნდა იმოქმედოს ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ამერიკას ხელს არ აძლევს განადგურებული ევროპა, განადგურებული ბაზრები, ამერიკას ეკონომიკურად სტაბილური ევროპა სჭირდება ფინანსური ოპერაციების საწარმოებლად, ხოლო ეს ყოველივე რუსეთის ინტერესებში არ შედის - რაც უფრო არეულია გარემო, მით უკეთესია მისთვის. თუ დავაკვირდებით სტატისტიკას, ვნახავთ, რა ხერხებით გამდიდრებული მილიარდერები ჰყავს რუსეთსა და დასავლეთს, ამით ნათელი ხდება, ვინ როგორ წყალში იჭერს თევზებს.

- სადაა ის მიჯნა, რომლის იქითაც ნატომ თავისი ძალა უნდა აამოქმედოს?

- ეს ძალიან მარტივი საკითხია ერთი შეხედვით, თუმცა, ვფიქრობ, მასზე ბევრმა რამემ შეიძლება იმოქმედოს. ნატოს წესდების მეხუთე მუხლი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ნებისმიერ ნატოს წევრ სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში ამოქმედდება მექანიზმები და მიღებული იქნება შეიარაღებული ძალების დაცვის ზომები. აქედან გამომდინარე, პატარა თავდასხმა ან პროვოკაცია საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ნატოს ძალების გააქტიურებისთვის. რუსეთი კარგად აცნობიერებს თავის შესაძლებლობებს, თუმცა აგრესიას აგრძელებს, ამბობს, რომ არ ეშინია ნატოს გაღიზიანების. ამ შემთხვევაში მისი მიზანია უკრაინის დენაციფიკაცია. დღეს ასე ამ ქვეყნის მიმართ მოქმედებს, ხვალ შეიძლება საქართველოს, ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართაც განხორციელდეს მსგავსი აგრესია, ამიტომ დასავლეთმა უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება ასეთი მსოფლიო წესრიგი მას?! ანუ დასავლეთი ან აიძულებს რუსეთს უკან დახევას, ანდა მისცემს საშუალებას, თავისი გავლენები აღიდგინოს. ამ კითხვებზე დასავლეთს მოუწევს პასუხის გაცემა. არ გამოვრიცხავ, რომ თუკი რუსეთი მასობრივი განადგურების საშუალებას მიმართავს, დასავლეთსაც მოუწევს ამ მიმართულებით ზომების მიღება.

- ხომ არ ჩნდება ნატო თამაშგარე მდგომარეობაში?

- არა, და ეს რუსეთმაც იცის. მისმა წევრმა ქვეყნებმაც იციან, რომ ნატო ირიბადაა ამ პროცესში ჩართული, თუნდაც იარაღის მიწოდებით, გარდა ამისა, განიხილება თვითმფრინავების მიწოდება უკრაინისთვის, რაც მეტყველებს, რომ ჩართულია ამ პროცესში. მე მაქვს ამასთან დაკავშირებით ჩემი აზრი, ნატოს დახმარების გარეშე უკრაინა უკვე დამარცხებული იქნებოდა. როგორც ვიცით, მას ყოველმხრივ ეხმარებიან, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე ფინანსურად.

- აზრთა სხვაობა გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების პოზიციამ უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით

- ეს პოლიტიკურად დელიკატური საკითხია, ამას ისტორია განსჯის, თუმცა ვფიქრობ, რომ ზომიერი და პოლიტიკურად გააზრებული პოზიცია აქვს ჩვენს სახელმწიფოს, მაგრამ ცალკეულ პოლიტიკოსს ალბათ უფრო მეტი სიცხადე მართებდა თავისი პოზიციის გაჟღერებისას, ნუ მოერიდებათ იმ პოზიციის დაფიქსირების, რაც ნამდვილად აქვთ.

იხ. მე-7 გვ.

უცხოეთი

ჩვენი მთავარი პასუხისმგებლობაა, დავიცვათ ნატოს წევრი ყველა ქვეყანა, მათ შორის, 30 ქვეყნის მოსახლეობა. ერთ წევრზე შეტევა გააქტიურებს ომს, რომელიც გულისხმობს, რომ ყველა ქვეყანა ჩაერთვება ამ კონფლიქტში, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მან ჩინეთს მოუწოდა, არ დაეხმაროს რუსეთს, შეუერთდეს დანარჩენ მსოფლიოს და დაგმოს უკრაინაში რუსული აგრესია. „რუსეთისთვის ნებისმიერი სამხედრო დახმარება კიდევ უფრო დაამძიმებს მდგომარეობას, გაუწევს უფრო მეტ პროვოცირებას რუსეთის აგრესიას სუვერენულ უკრაინაში და გაზრდის ომის მასშტაბებს“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

უკრაინასთან მოლაპარაკებებში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ვლადიმერ მედინსკი აცხადებს, რომ რამდენიმე პუნქტთან დაკავშირებით მხარეები ახლოს არიან კომპრომისთან, მათ შორისაა დემილიტარიზაციის საკითხი, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვს კრემლი. ინფორმაციას გამოცემა „უნიანი“ ავრცელებს. „უკრაინა გვთავაზობს ავსტრიულ, შვედურ ვარიანტს ნეიტრალური დემილიტარიზებული სახელმწიფოსი, ამასთან, სახელმწიფოსი, რომელსაც გააჩნია საკუთარი არმია და სამხედრო-საზღვაო ძალები. ჩვენ გვჭირდება მშვიდობიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი უკრაინა, ნეიტრალური, არა - ნატოს წევრი, ქვეყანა, რომელიც არის ჩვენი მეგობარი, მეზობელი“, - განაცხადა ვლადიმერ მედინსკიმ. აღნიშნული სტატუსით, ქვეყანა არ არის არანაირი სამხედრო გაერთიანების და ბლოკის წევრი, თუმცა ჰყავს საკუთარი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

* * *

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკეპტიკურადაა განწყობილი რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებებისადმი. ლიზ ტრასის კომენტარს „როიტერი“ ავრცელებს. „სანამ პუტინი ომობს უკრაინაში, მშვიდობიან მოლაპარაკებებს სკეპტიკურად ვუყურებ. მან უნდა უზრუნველყოს ცეცხლის შეწყვეტა და ჯარის გაყვანა, რომ ეს მშვიდობიანი მოლაპარაკებები ვინმემ სერიოზულად აღიქვას“, - განაცხადა მინისტრმა. რუსეთ-უკრაინას შორის მოლაპარაკებები გრძელდება. პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებით, მოლაპარაკებებზე გაჟღერდა რეალისტური პოზიციები, თუმცა უკრაინისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას დრო ისევ სჭირდება.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიჩნევს, რომ დასავლეთის უპრეცედენტო ზეწოლის მიუხედავად, ქვეყნების დიდი ნაწილი მხარს მოსკოვს უჭერს. ადგილობრივ მედიასთან საუბრისას მან გააკრიტიკა დასავლეთი, მათ შორის, შეერთებული შტატები. „იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ღიად დაუჭირეს მხარი სამხედრო ოპერაციას უკრაინაში, არიან მიანმა, ვენესუელა, ყირგიზეთი და ბელარუსი. ინდოეთს, ჩინეთს და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს არ გაუკრიტიკებიათ რუსეთის ხელისუფლების ქმედებები, თუმცა განაცხადეს, რომ მშვიდობიანი მოგვარების იმედი აქვთ. სპეცოპერაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ ევროკავშირის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა და სხვები“, - წერს რუსული მედია.

მოამზადა
ია შველიძემ

ჯონდი ბაღათურია: მართებული, ფრთხილი, გონივრული და სახელმწიფოებრივი პოზიცია უჭირავს საქართველოს მთავრობას

ხატია იაშვილი 27 48 93

„ქართული დასის“ ლიდერი ***ჯონდი ბაღათურია*** *„აჭარასთან“ მიმდინარე საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს, განიხილავს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას და მოლოდინებს.*

- როგორ შეაფასებთ უკრაინა-რუსეთის ომს?

- ეს არ არის რუსეთ-უკრაინის ომი, უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ნატოსა და რუსეთის სამხედრო კონფლიქტი, რაც ძალიან სამწუხაროა. ერთი მხრიდან არის რუსული არმია და შეიარაღება, მეორე მხრიდან - ნატოს ქვეყნების შეიარაღება, ძირითადად - აშშ-ის ოფიცრობა, ხოლო საზარბაზნე ხორცად გამოიყენებენ უკრაინელებს.

- ეს საკმაოდ სერიოზული განცხადებაა, ვგულისხმობ ოფიცრობას...

- ეს უკვე ცნობილი ამბავია, ახლახან გადმოსცა „სი-ენ-ენმა“, რომ ერაყის ომის 180 ვეტერანი გაანადგურეს რუსებმა პოლონეთის საზღვართან განლაგებულ ლვოვის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე, რომლებიც ჩავიდნენ იქ ამერიკის შეერთებული შტატებიდან. რუსებმა „კალიბრის“ ტიპის რაკეტები გაუშვეს და მთელი ბაზა ნანგრევებად იქცა. ახლა აჩვენებდნენ, იქ აღარაფერია დარჩენილი. ძალიან სახიფათო ომი მიმდინარეობს, რომელიც ზეგავლენას ახდენს მსოფლიოზე, შეეხო ყველა ქვეყანას. გადახედეთ ფასებს საქართველოს ბაზარზე. მოსახლეობა პანიკაშია, შიმშილობის მოახლოებას პროგნოზირებენ, რის გამოც იმარაგებენ ბრინჯს, წიწიბურას, მაკარონს, ფქვილს, შაქარს... ანალოგიური სიტუაციაა ყველგან - ევროპის ქვეყნებსა თუ ამერიკის კონტინენტზე. ევროპის სავაჭრო ქსელებში შეიქმნა დეფიციტი, რადგან გაზმომარაგების 40% რუსეთის სეგმენტია და მისი ფასი 230-იდან 3200 დოლარამდე გაიზარდა - 15-ჯერ გაძვირდა, ეს ჯერარნახული ფასია, რომელიც, ცხადია, არტყამს ამ ქვეყნების ეკონომიკას. ნავთობზე ფასები სამჯერაა გაზრდილი. დღეს ერთი ლიტრი ბენზინის ფასი უკვე ორნახევარი ევროა, ეს 10 ლარია. შეერთებულ შტატებშიც ავარდა ბენზინზე ფასები, რადგან იქ რუსულ ნავთობს მიწოდების ბაზრის 30% უკავია. ხედავთ, სად გადაწვდა? ოკეანის გაღმა. ყველას ეგონა, რომ აშშ ცალკე კონტინენტზეაო, არადა, იქაც მისწვდა ომის შედეგები. აქედან გამომდინარე, ძალიან ფრთხილი და ეროვნული პოლიტიკა უნდა გავატაროთ ქართველებმა, ზედმეტი შეხტომა-შეფრთხიალების გარეშე, რაც ხშირად გვახასიათებს.

- როგორ შეაფასებთ ზელენსკის როლს ამ ომში, რომელშიც, ექსპერტების ვარაუდით, ნატოს მხარდაჭერის იმედით ჩაება.

- არ ვფიქრობ, რომ ნატოა დამნაშავე, სწორედ ზელენსკის და მის კორუმპირებულ პოლიტიკოსებს ედებათ ბრალი ომის უკრაინის ტერიტორიაზე გაჩაღებისთვის, რადგანაც მათ შეეძლოთ ამ სისხლისღვრის თავიდან აცილება. ეს ორი გიგანტი სახელმწიფო, უზარმაზარი ეკონომიკური და სამხედრო რესურსებით, ერთმანეთს არ უნდა დაჯახებოდა უკრაინაში. სადაც სურდათ, იქ ეომათ, რაღა საკუთარი ხალხი გასწირა ამბიციების დასაკმაყოფილებლად?!

- ნუთუ ზელენსკიმ ეს არ იცოდა?

- როგორ არ იცოდა, მიმაჩნია, რომ ეს შეგნებული ღალატი იყო. ამას ადასტურებს, რომ მან, ძალიან მწვავე დაპირისპირების ფონზე, მიუნხენის კონფერენციაზე ატომურ იარაღზე გააკეთა განაცხადი. ამით მოახდინა უკრაინაში ნატოსა და რუსეთის ომის პირდაპირი პროვოცირება მაშინ, როდესაც ნატოს ლიდერი ქვეყნები, საფრანგეთი და გერმანია, ყველა ღონეს ხმარობდნენ ამ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. პირველ რიგში, ომმა დაარტყა ევროპის ქვეყნების ეკონომიკას, განსაკუთრებით, საფრანგეთსა და გერმანიას. ამ ომის გაჩაღება ბრალდება უკრაინის მოღალატე პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, ზელენსკის მეთაურობით. ბოლო აკორდი იყო მიუნხენში ბირთვული იარაღის მოთხოვნა. გესმით, რა ხდება, როგორც კი ახსენებენ ატომს, ეგრევე ბომბავენ იმ ქვეყნებს.

- რა გამოსავალი რჩება ზელენსკის, რომელიც ითხოვს პუტინთან მოლაპარაკებას?

- არ ვიცი, რამდენად დათანხმდება მოსკოვი, რადგან პუტინი ითხოვს მხოლოდ ერთს - სრულ კაპიტულაციას დეტალების დაზუსტებით.

- რა დეტალებზე იქნება საუბარი?

- პიროვნულზე, მისცემენ თუ არა ზელენსკის სიცოცხლის გარანტიას, ვის შეუნარჩუნებენ ქონებას და ასე შემდეგ. სხვა არაფრის განხილვას რუსული მხარე არ აპირებს, ამაზე აღარც არის საუბარი. თავად ზელენსკიმ ძალიან ბინძური საბაბი მისცა ბირთვული იარაღის მოთხოვნით, რასაც არავინ აპატიებს. რუსებმა ეს დაიხვიეს ხელზე და დღედაღამ ატრიალებენ, აქვეა ბიოლოგიური იარაღის დამზადებაზე საუბარიც, რომელიც ისევ ზელენსკის ბრალდება. ამას მხოლოდ მტერი თუ გაუკეთებს საკუთარ ქვეყანას.

- საკმაოდ უცნაურად ჟღერს თქვენი სიტყვები იმ ფონზე, როდესაც ზელენსკი გმირად ჰყავს შერაცხული არა მხოლოდ საკუთარ ხალხს, მთელ ცივილიზებულ სამყაროს.

- როგორ შეიძლება გმირად შერაცხო ადამიანი, რომელმაც გამოიწვია ნატოს და რუსეთის შეჯახება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე და შეაკლა მოსახლეობა ამ ორის ინტერესებს?! ახლა ითხოვს, ცა გადამიკეტეთო. რას ნიშნავს ცის გადაკეტვა? ეუბნება ნატოს ქვეყნებს, რომ, მაგალითად, პოლონეთის ტერიტორიიდან ან გერმანიიდან ჩამოაგდონ რუსეთის თვითმფრინავი. ამას ხომ რუსების პასუხი მოჰყვება. თავისთავად დაბომბავს იმ ქვეყანას, საიდანაც გამოფრინდება რაკეტა. გამოდის, დაიწყება მესამე მსოფლიო ომი. ანუ ლოკალურად - უკრაინაში მიმდინარე ბრძოლები, მოედება მსოფლიოს, მთელი ევროპა ცეცხლში გაეხვევა.

- რა ფინალი უნდა მოჰყვეს ყველაფერ ამას?

- მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი, სხვა გზა არ გვაქვს, მაშინ პლანეტა დაიღუპება. ამ წუთებშიც უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება, რასაც გამართლება არ აქვს არც ერთი მხრიდან. ვერავინ დაასაბუთებს, რატომ იხოცებიან უკრაინელები, ის ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ომი და სიკვდილი. აქედან გამომდინარე, ომი უნდა დასრულდეს მშვიდობიანად და როგორმე უნდა გააგებინონ ამ პროვოკატორ ზელენსკის და მის გუნდს, რომ მესამე მსოფლიო ომის პროვოცირება პრინციპულად დაუშვებელია.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზელენსკი გაქცეულია უკრაინიდან.

- მსგავსი ინფორმაცია ადრეც ვრცელდებოდა. მე თვალყურს ვადევნებ დასავლურ მედიასაც და რუსულსაც. სიმართლე რომ ყოფილიყო, ეს აუცილებლად გამოჟონავდა და დიდი ამბავი ატყდებოდა. რუსეთს ყველგან თავისი თვალი და ყური აქვს, ეს არ გამოეპარებოდა. პრინციპში, არც დაუშვებენ ამას. მთელი უკრაინის ტერიტორიას საჰაერო სივრცით აკონტროლებენ რუსები, ამიტომ ზელენსკის გადაადგილების საშუალებას არ მისცემენ. როგორც ვატყობ, ძალიან მძიმე ჩანაფიქრებია.

- მაინც?

- რუსები ხშირად ამბობენ, რომ უნდა გაასამართლონ ის უკრაინელები, რომლებიც 2014 წლიდან დღემდე ადამიანებს ხოცავდნენ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბევრი ხალხი ჰყავთ მოკლული ლუგანსკსა და დონეცკში მაშინ, როდესაც ამ ტერიტორიებს უკრაინული არმია აკონტროლებდა. ეს თუ დადასტურდა, ვინ აპატიებს?!

- ორივე მხარე თავისთვის სასარგებლო ინფორმაციას ავრცელებს. მოუსმენ რუსეთს - მოსკოვი იმარჯვებს, უკრაინას - ზელენსკი. სად არის სიმართლე?

- აბა, როგორ უნდა გეგონოთ, რომ უკრაინა იმარჯვებს, მითხარით!

- ისიც ხომ ფაქტია, რომ სირიიდან და ციმბირიდან გადმოჰყავს ჯარი პუტინს.

- ლუგანსკის და დონეცკის ოლქები რუსეთის ჯარს უკავია, რაც უკვე არის უკრაინის მესამედი. დიდი ქალაქები ბლოკირებულია, შიგ არ შედიან, რათა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი აირიდონ. ქალაქებში შესვლას აუცილებლად მოჰყვება შეტაკებები, რადგან უკრაინელები გამაგრებულნი არიან საცხოვრებელ კორპუსებში. კიევიც ბლოკირებულია. ახლა პოლონეთის საზღვართან არსებული სამხედრო ბაზაც გაანადგურეს... მეტს რას ნიშნავს გამარჯვება, აღარ ვიცი.

- როგორ შეაფასებთ საქართველოს მთავრობის პოზიციას?

- აბსოლუტურად მართებული, ფრთხილი, გონივრული და სახელმწიფოებრივი პოზიცია უჭირავს საქართველოს მთავრობას. რაც ახლა დავინახე, ჩემთვის ნამდვილად გასაკვირი აღმოჩნდა. არც პატრიოტიზმი აკლია მათ გადაწყვეტილებებს და არც სიბრძნე.

- განსაკუთრებით, რომელი გადაწყვეტილება მოგეწონათ?

- რომ არ შეუერთდნენ სანქციებს. როდესაც მესმის ამის გამო პროტესტი, ისტერიკა და პრანჭვა-გრეხა, მიკვირს. მახსენდება, 80-იანი წლების ბოლოს სამტრედიაში რკინიგზა რომ გადავკეტეთ, რუსეთს ბლოკადა გამოვუცხადეთ და... მეორე დღეს პური და პროდუქტები გაქრა ჩვენთან და არა - რუსეთში. მეორეც, საქართველოს მთავრობამ დაბლოკა „ბოევიკების“ რეკრუტირება, საქართველოდან მებრძოლების გატარება უკრაინისკენ. ეს ძალიან სერიოზული გადაწყვეტილება იყო. მესამეც ის, რომ არ აჰყვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი ნამსხვრევების ქსენოფობიურ გამოხტომებს, რომ ყვიროდნენ რუსი ტურისტი აღარ შემოვუშვათ ქვეყანაშიო.

- რუსების მასობრივად შემოსვლაზე რას იტყვით როგორც ეკონომისტი? რა ზეგავლენას მოახდენს ეს ქვეყნის ეკონომიკაზე?

- თქვენ ხომ ბათუმელი ხართ? მოდით, განვიხილოთ თქვენი ქალაქის მაგალითზე. ჩემს ერთ მეგობარს ჰქონდა ორი ერთოთახიანი ბინა, რომლებსაც ტურისტებზე აქირავებდა. 15 ათასი ლარის „ჯავშანი“ ჰქონდა, როდესაც „გავრილოვის ღამის“ პროვოკაციის შემდეგ რუსეთმა გააუქმა ფრენები, 13 ათას რვაასი ლარის „ჯავშანი“ ავტომატურად გაუუქმდა, ანუ ამდენს იხდიდნენ რუსი ტურისტები. ეკონომიკის მაჩვენებლებისთვის, მხოლოდ ამ ფაქტის განზოგადებაც გვეყოფა. თვალნათლივ ჩანს, როგორი დარტყმაც შეიძლება მივიღოთ. თუ შევხედავთ ენერგომატარებლების ფასებს, აქაც არაფერი გვრჩება სათქმელი. ჩვენ 260-დან 300 დოლარამდე ვიხდით გაზში. საქართველო დაახლოებით მოიხმარს 2 მილიონ კუბურ მეტრ გაზს. აქედან 1 მილიონს ვყიდულობთ ძალიან მომგებიან ფასში აზერბაიჯანისა და რუსეთისგან, ხოლო ნახევარ მილიონს ვიღებთ რუსეთისგან უფასოდ სომხეთზე გაზის გატარების საფასურად, მეორე ნახევარს კი აზერბაიჯანში, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენზე გატარების საფასურად. ამ სქემების დარღვევა და რუსეთისთვის სანქციების დაწესება ხომ საკუთარი ხალხის გაწირვას ნიშნავს? კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით, უცებ რომ გვითხრას რუსეთმა, სამი ათასი დოლარი გადაიხადეთ გაზშიო, გამოირთვება საქართველო საერთოდ, იმავე წამს ჩაქრება შუქი.

- ფიქრობთ, აქამდე არ მივა საქმე?

- რადგან ხელთ გვაქვს საქართველოს მთავრობის სამი გონივრული გადაწყვეტილება, ვფიქრობ, სიტყვას აღარ გადათქვამენ. სხვათა შორის, კიდევ ერთი დადებითი სიმპტომია ამ დამოკიდებულებაში, რომელსაც არ ახსენებენ: როდესაც რუსეთმა მისთვის არამეგობრული ქვეყნების სია გამოაქვეყნა, მასში საქართველო არ მოიხსენია.

- რას ამბობთ, როგორ არ ლაპარაკობენ, ამას ღალატად და რუსეთთან კავშირად თვლის ბევრი. ახალგაზრდობამ ძალიან ემოციურად გამოხატა პროტესტი.

- მესმის მათი განწყობა. მეც ვიყავი მათი ტოლი და კარგად მახსოვს საკუთარი რადიკალიზმი, ისიც, რა ფორმით გამოვხატავდი უარყოფით ემოციებს. ახალგაზრდობას არა აქვს სწორი ინფორმაცია ფაქტობრივ მდგომარეობაზე, რუსეთის ეკონომიკაზე, მის სამხედრო შეიარაღებაზე, რის საფუძველზეც დასკვნას გააკეთებენ. 30 წელიწადია მიმდინარეობს მათი გონების გამორეცხვა. ცხადია, არ იციან, რასთან და ვისთან აქვთ საქმე. ჩვენ ახლა უნდა გავუძლოთ მათ გამოსვლებს. 50-მილიონიანი ქვეყანა, პრაქტიკულად, ორ კვირაში გაანადგურეს. მთელი დედამიწა ებრძვის რუსეთს უკრაინის ტერიტორიაზე და ახლა საქართველო აკლია იქ?! ვფიქრობ, მთავრობის ეს ფრთხილი ნაბიჯები თავის შედეგს გამოიღებს. ერთ რამეს გეტყვით, იმის მიუხედავად, რომ არავითარი პანიკის საფუძველი საქართველოში არ იყო, ადამიანებმა დაიწყეს იმ პროდუქტების მომარაგება, რაც რუსეთიდან შემოდის. იცით, რას გეგმავს მოსკოვი? შეამციროს პროდუქციის გატანა არამეგობრულ ქვეყნებში. მარტო ევროპის ბაზრებზე რუსულ ხორბალს უჭირავს 30%. ამას ალტერნატივა არ აქვს. რუსეთი არის მსოფლიოს უმსხვილესი იმპორტიორი. ხორბლის 40%-ს მსოფლიოს აწვდის რუსეთი. ამის ჩანაცვლებას საიდან შეძლებენ, კომპიუტერში ხომ ვერ მოიყვან პურს? ომის დროს უფასურდება ვალუტა და ოქროც კი. ფასი ედება ხორბალს, მტკნარ წყალს, ნავთობს, გაზს და რკინას, ანუ ფუნდამენტურ რესურსებს. ჩვენც რომ შეგვიყვანონ იმ სიაში, სად მივდივართ მერე?! ხორბალი იქიდან შემოგვაქვს.

- როგორ ფიქრობთ, პროდუქციაზე ფასების ზრდა აღარ გაგრძელდება?

- ხალხმა მარაგის კეთება დაიწყო, მოთხოვნა იზრდება, ფასები მატულობს. ამას ემატება ჩვენი ბიზნესის არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლებიც, რომლებიც ქაფავენ მოგებას ადამიანების შიშის ფონზე. ერთიანად შექმნეს დეფიციტი და ფული აკეთეს. ომის დროს ასეთი, საბოტაჟის მაგვარი საქციელი უნდა ისჯებოდეს და იმედი მაქვს, მთავრობა შეძლებს ამ პროცესის გაკონტროლებას.

- ექსპერტების აზრით, რუსეთი ყველა ვარიანტში „გამოგვივლის“.

- რუსეთშიც არიან ანტიქართველები და ჩვენი ქვეყნის მომხრეები. საქართველოს მთავრობის საქციელმა, პრაქტიკულად, განაიარაღა ეს ადამიანები და სერიოზული არგუმენტები მისცა პროქართულად განწყობილ რუს ჩინოვნიკებს, რომლებიც შეეცდებიან საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხების უახლოეს ხანებში განხილვას და ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტას. მოსკოვთან დიალოგს ჩვენთვის ალტერნატივა არა აქვს. რუსეთზე თავდასხმა ერთხელ ნაპოლეონმა სცადა და დამთავრდა პარიზის აღებით. მეორედ - ჰიტლერმა, დასრულდა ბერლინის აღებით. სხვათა შორის, ბერლინი ორჯერ აიღეს. სიმართლე გითხრათ, მიზეზსაც ვერ ვხედავ, რატომ უნდა გადავიტეხოთ ჯოხი თავზე?! ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გამოდის და აცხადებს, ჩემი ქვეყნის დაბომბვის პროვოცირებას ვერ დავუშვებო და ჩვენ რატომ ვიკლავთ თავს, ვერ გავიგე. ახლა ისე უნდა მოვიქცეთ, რუსეთს არ შევეწიროთ, იმის მიუხედავად, გაიმარჯვებს თუ დამარცხდება. ჩვენი მთავრობა ყველაფერს კარგად უძღვება, ჯვარი ეწეროს და, იმედი მაქვს, ავიცილებთ საქართველოს დამანგრეველ ომს თავიდან.

> *როდესაც მესმის ამის გამო პროტესტი, ისტერიკა და პრანჭვა-გრეხა, მიკვირს. მახსენდება, 80-იანი წლების ბოლოს სამტრედიაში რკინიგზა რომ გადავკეტეთ, რუსეთს ბლოკადა გამოვუცხადეთ და... მეორე დღეს პური და პროდუქტები გაქრა ჩვენთან და არა - რუსეთში. მეორეც, საქართველოს მთავრობამ დაბლოკა „ბოევიკების“ რეკრუტირება, საქართველოდან მებრძოლების გატარება უკრაინისკენ*

ექიმთა შეცდომებით გამოწვეული გართულებების საჯაროდ განხილვა აუცილებელია საზოგადოებისთვისაც და თავად მედიკოსებისთვისაც

აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების ისტორია 1896 წლიდან იწყება. ბათუმში მისი სამკვიდრო მემედ აბაშიძის ქ № 46-ში არსებული ლამაზი შენობაა, რომლის პირველი სართული, სხვათა შორის, ამ საზოგადოებას თავად რუსმა მონარქმა ნიკოლოზ მეორემ უსასყიდლოდ გადასცა. იმ დროს ამ გამზირს მარინის გამზირი ერქვა. იმთავითვე ექიმთა საზოგადოების მთავარი მიზანი მედიცინის მესვეურთა და საზოგადოების ურთიერთობა, ექიმისა და პაციენტის დაცვა იყო და შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად სამართლიანობის დაცვასაც ემსახურებოდა. ახალი კანონმდებლობით ამ საზოგადოების ხელახალი რეგისტრაცია გახდა საჭირო და ამიტომ იგი ხელმეორედ დაიფუძნეს. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ ცნობილი ქირურგი, პროფესორი **აკაკი ბერიძე**. სამწუხაროდ, ძველი ლამაზი შენობა წინა ხელისუფლებამ ლარად მიჰყიდა ერთ-ერთი მედიასაშუალების მფლობელის ნათესავს. დღეს ბატონი აკაკი იმ საინტერესო საკითხზე გვესაუბრება, რომლის შესახებაც ხსენებული საზოგადოების საერთაშორისო კონფერენციაზე (თემა: „საექიმო შეცდომები, მათი პრევენცია და შემცირების გზები“) აპირებს გამოსვლას. საკითხი მართლაც აქტუალური და მტკივნეულიცაა - ეს გახლავთ ექიმის დაშვებული შეცდომის შედეგად გამოწვეული გართულებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ამ სახის გართულებებს სამედიცინო ენაზე იატროგენულს უწოდებენ და გაგიკვირდებათ, თავად განვითარებულ აშშ-შიც კი მათ გულ-სისხლძარღვთა და ონკოდაავადებათა შემდეგ ფატალური შედეგების მხრივ მესამე ადგილი უკავია.



- ბატონო კაკო, უდავოდ, აქტუალური, ემოციებთან დაკავშირებული და დელიკატური საკითხია ექიმების მიზეზით გამოწვეული გართულებები, რასაც, როგორც ჩანს, ფატალური შედეგი არა მარტო საქართველოში მოჰყვება, ალბათ სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ მასზე ხმამაღლა გესაუბრათ?

- აქამდე ითვლებოდა, რომ სამედიცინო შეცდომები კონფიდენციალური და მოსახლეობისთვის დამალული უნდა ყოფილიყო. ამ აზრს ბოლო დროს მედიკოსთა დიდი ნაწილი არ იზიარებს. ცნობილი ინგლისელი ნეიროქირურგის, ჰენრი მარშის რწმენით, ექიმი პირველ რიგში, ადამიანია თავისი ფსიქიკით, შიშით, შეცდომებით. ექიმიც ცდება და რა აზრი აქვს ამის დამალვას? ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანია ნდობა და გულწრფელობა. გულწრფელ ექიმს უფრო ენდობა პაციენტი. ჰენრი მარშს მანკიერ მოვლენად მიაჩნია ჯანდაცვის სფეროს კომერციალიზაცია, როცა ექიმს თუ კლინიკას, პირველ რიგში, მოგების ინტერესი ამოძრავებს და ამ მიზნით ნიშნავს ძვირად ღირებულ, არასაჭირო გამოკვლევებს, ზოგჯერ კი არააუცილებელ ქირურგიულ ოპერაციასაც კი. ამბობენ, რომ ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს. ბაზრის კანონით სამედიცინო სფეროს მართვა დაუშვებელია.

- რა მიზნებს ემსახურება თქვენი საზოგადოება?

- აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება არის ექიმთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. მისი მიზნებიდან გამოვყოფდი რამდენიმეს: ექიმთა ინტელექტუალური ძალების გამოვლინება, მათი გამოყენება სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში, რეგიონში დაავადებათა მეცნიერული შესწავლა და მათი პრევენციის ღონიძიებების შემუშავება, პაციენტისა და ექიმის უფლებების დაცვა და სხვ. ჩვენი საზოგადოების შენობა (ახლანდელი მისამართი: მემედ აბაშიძის ქ. N46), რომლითაც სარგებლობდნენ მედიკოსები საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ პერიოდში, მოულოდნელად, 1 დღეში, 2011 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს „ეროვნულმა ხელისუფლებამ“ ბათუმელ ექიმებს საკაშვილისა და ვარშალომიძის ბრძანებით, ერთ ლარად გაუსხვისა. ჩვენი საპროტესტო წერილების საფუძველზე პროკურატურამ შეისწავლა, ეჭვქვეშ დააყენა გასხვისების კანონიერება და ყადაღა დაადო ობიექტს. დავა დღემდე გრძელდება. ამ დავაში ბათუმელ ექიმებს ბათუმელების, ინტელიგენციის, საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

- მოდით, თქვენი საკონფერენციო თემის შესახებ უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, მაინც როგორ კლასიფიცირდება სამედიცინო შეცდომა, მისი მიზეზები, პროფილაქტიკა, გამოვლინებისა და კორექციის გზები?

- ჩემს გამოსვლას ეპიგრაფად უნდა წავუმძღვარო ექიმისადმი წაყენებული უმთავრესი მოთხოვნა - Primum non nocere (უპირველესად არ ავნო)! იგი მედიცინის მამამთავარ ჰიპოკრატეს ეკუთვნის. ეს პრინციპი ექიმის მსოფლმხედველობის ფუნდამენტია და სრულად შეესაბამება განსახილველი საკითხის თემატიკას და პათოსს. 2014 წელს ცნობილმა ინგლისელმა ნეიროქირურგმა ჰენრი მარშმა გამოსცა უაღრესად საინტერესო წიგნი „არ ავნო: სიცოცხლის, სიკვდილის და ტვინის ქირურგიის ამბები“. მას ბევრი მკითხველი ჰყავს და მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. თვლიან, რომ ჰენრი მარშმა სამედიცინო ლიტერატურაში ახალ მიმართულებას - ვეტერანი ექიმის აღსარების ჟანრს მისცა დასაბამი. წიგნში აღწერილია ავტორის ლამის სასწაულის ტოლფასი წარმატებებიც და ამასთან, კარიერის სხვადასხვა ეტაპზე დაშვებული შეცდომებისა და მტკივნეული მარცხის ეპიზოდებიც. იგი საოცარი გულწრფელობით მოგვითხრობს, რომ ექიმი, პირველ რიგში, ადამიანია, თავისი შიშებით, შფოთვით, ფსიქიკით, შეცდომებით. მას ხშირად ეკამათებიან, რამდენად სწორია ექიმის შეცდომების, განცდების ასე შიშვლად ჩვენება, ამით ხომ შეშინდებიან პაციენტები?! პასუხი მტკიცე და მშვიდია - პირიქით, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანია ნდობა და გულწრფელობა. ჰენრი მარში წიგნს ასე იწყებს: - „მე ხშირად მიწევს ტვინის გაჭრა და ამის კეთება მძულს.“ ტვინი მეტად სათუთი ორგანოა და მის ქსოვილზე აუცილებელ, თუნდაც უმნიშვნელო მანიპულაციასაც კი შეიძლება დიდი ტრაგედია - ლეტალური შედეგი მოჰყვეს, ან ხანგრძლივი დროით გააუარესოს პაციენტის სიცოცხლის ხარისხი, გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დამბლა. არც ჭეშმარიტი ექიმია ამ დროს კარგ დღეში - სტრესით, პასუხისმგებლობის წნეხით, შიშით და სხვა ადამიანური სისუსტეებით დათრგუნულს უძნელდება ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება და მარცხის შემთხვევა დიდი ხნით აისახება მის ჯანმრთელობაზე. არცთუ ისე იშვიათად რადიკალურ ზომებსაც მიმართავს. მაგალითად, ბრწყინვალე ქირურგს, გულის გადანერგვის პიონერს კრისტიან ბერნარს ახალგაზრდობის პერიოდში ღვიძლზე ოპერაციის შემდეგ სისხლდენით დაეღუპა ახალგაზრდა ქალი. მეორე დღეს იგი კაბინეტში ეახლა კლინიკის ხელმძღვანელს, განცხადებით ითხოვდა თანამდებობიდან განთავისუფლებას - ვეღარ შევძლებ ქირურგობასო. შეფმა დაამშვიდა ახალგაზრდა ქირურგი, დახია განცხადება - ამ და სხვა შეცდომებზე ისწავლი და გაიზრდებიო. ჰენრი მარში მეორე უკიდურესობაზეც საუბრობს, როცა ექიმს თავი ვარსკვლავი ჰგონია, საკუთარი ეგო საფრთხეს უქმნის პაციენტთან, კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობაში. საზოგადოება, ხელისუფლება (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ყოველთვის პატივს მიაგებდა ექიმებს, მათ თავგანწირულ შრომას სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად. დიდი გოეთე ბრძანებდა: „ქირურგია ღვთაებრივი ხელოვნებაა, რომლის საგანს ადამიანის სახება წარმოადგენს. იგი ასწორებს ბუნების მიერ თანდაყოლილ ან ცხოვრების მანძილზე შეძენილ შეცდომებს“. ბოდიშს ვიხდი, რომ სიტყვა ძალიან გამიგრძელდა. ახლა საკუთარ შეცდომებს დავუბრუნდეთ: საექიმო შეცდომის მრავალი განმარტება არსებობს, მაგრამ ლიტერატურაში ყველასათვის მისაღები არცერთი არაა. სამედიცინო შეცდომა ჰქვია სამედიცინო მომსახურების შედეგად განვითარებულ გვერდით ეფექტს ან არასასურველ რეაქციას, რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა. სხვა რედაქციით, სამედიცინო შეცდომა არის ექიმის კეთილსინდისიერი დაბნეულობა, რომელმაც ზიანი მიაყენა პაციენტის ჯანმრთელობას. ტერმინი „საექიმო შეცდომა“ იხმარება სამედიცინო და არა იურიდიულ ლიტერატურაში. ესაა ექიმის არასწორი ქმედება საექიმო საქმიანობაში, როცა მას იურიდიულად ბრალი არ ედება. საექიმო შეცდომა ექიმის არასწორი ქმედებაა (ან უმოქმედობა), რომლის საფუძველია თანამედროვე მეცნიერების არასრულყოფილება, ექიმის მიერ დაგროვილი ცოდნის არასრულად ათვისება ან მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის უქონლობა. სამედიცინო შეცდომა დასჯადი არ არის. ეს არ არის გულგრილობის გამოვლინება, ნასვამი მდგომარეობა, განგებ სხეულის დაზიანება, რაც სამართლის საქმეა და პროკურატურა იძიებს.

> *„საექიმო შეცდომა ექიმის არასწორი ქმედებაა (ან უმოქმედობა), რომლის საფუძველია თანამედროვე მეცნიერების არასრულყოფილება, ექიმის მიერ დაგროვილი ცოდნის არასრულად ათვისება ან მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის უქონლობა. სამედიცინო შეცდომა დასჯადი არ არის. ეს არ არის გულგრილობის გამოვლინება, ნასვამი მდგომარეობა, განგებ სხეულის დაზიანება, რაც სამართლის საქმეა და პროკურატურა იძიებს*

კლასიკური საექიმო შეცდომებია: 1. დიაგნოსტიკური შეცდომები - დაავადების ან მისი გართულების ამოცნობაში დაშვებული შეცდომა; 2. სამკურნალო-ტაქტიკური შეცდომები, როცა დიაგნოზი დასმულია სწორად, მაგრამ მკურნალობის ტაქტიკაში შეცდომებია; 3. ორგანიზაციული ხასიათის შეცდომები - არ არის მზად რომელიმე სამსახური; 4. დეონტოლოგიური შეცდომები - ექიმის უღირსი მოპყრობა პაციენტისადმი, მის პატრონებთან, სამედიცინო პერსონალთან; 5. სამედიცინო დოკუმენტების შეცდომით შევსება. საექიმო შეცდომები შეიძლება დავყოთ: ობიექტურად, როცა რაიმეს შეცვლა არ შეგვიძლია და სუბიექტურად, რომელიც გამომდინარეობს ექიმის სუბიექტური შეხედულებიდან. მედიცინაში ბევრი სუბიექტური ფაქტორია. მაგ.: ულტრასონოგრაფიის სურათს ყველა ექიმი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს. საკამათოა ნორმის ცნებაც. სხვადასხვა ინდივიდში ხშირად განმეორებული ერთიდაიგივე მოვლენა მიჩნეულია ნორმად, თუმცა, ყველა ადამიანი ცალკე ინდივიდია. ღმერთმა ყოველი ადამიანი შექმნა ერთ ეგზემპლარად, რომლის სრული ანალოგი არც ახლა და არც მომავალში არ იქნება.

- რამდენად ხშირია სამედიცინო შეცდომები უცხოეთში და ჩვენთან?

- სამწუხაროდ, ძალიან ხშირია როგორც ჩვენთან, ისე განვითარებულ ქვეყნებში. აშშ-ში, სადაც სამედიცინო სამსახური საუკეთესოა მსოფლიოში, სამედიცინო შეცდომების შედეგად განვითარებული ლეტალობა სიხშირით მესამე ადგილზეა გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების შემდეგ. შემაძრწუნებელი სტატისტიკაა! სამედიცინო შეცდომების აღრიცხვა და ანალიზი საქართველოში არ წარმოებს, არ არის ამის შემსრულებელი ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურა, ამიტომ ზუსტი ციფრის დასახელება შეუძლებელია. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო შემოიფარგლება მხოლოდ ექიმის დასჯით. განზრახული გვაქვს მოსახლეობისა და სამედიცინო კოლექტივებისათვის ეს მეტად მტკივნეული საკითხი შევისწავლოთ, გავაანალიზოთ ჩვენს უწყებაში და დავსახოთ მათი შემცირების გზები.

- როგორ აღიქვამენ მედიკოსები მოსახლეობის რეაქციას მათ შეცდომებზე?

- ექიმის შეცდომა ყველა შემთხვევაში მტკივნეულად აღიქმება, როგორც თავად ექიმის, ისე პაციენტისა და მისი ახლობლების მიერ. თანამედროვე ეპოქაში არაა ძნელი ნებისმიერი საკითხის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ამიტომ ყველანი, არასპეციალისტებიც კი თვლიან, რომ კარგად ერკვევიან მედიცინაში და განიკითხავენ ექიმის ქმედებას. ხშირად გაიგონებ, ექიმი ასე კი არა, სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. ზოგი მეტ აგრესიულობას იჩენს და შეაქვს საჩივარი სხვადასხვა ინსტანციაში, რადგან არ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ მოკვლევის შედეგად გაცემული დასკვნა. მიაჩნიათ, რომ საჩივრებს ობიექტურად არ განიხილავენ, რომ ექიმის შეცდომას მისივე კოლეგები არჩევენ და არბილებენ დანაშაულს. ვფიქრობ, საექიმო საზოგადოებას უფრო ახლო კონტაქტი უნდა ჰქონდეს მოსახლეობასთან. სახელმწიფო, საზოგადოება უნდა ცდილობდეს, გაუფრთხილდეს ექიმის ავტორიტეტს. იქ, სადაც ექიმს არ აფასებენ, უპირველესად, საზოგადოება ზარალდება. თავად ექიმი მუდმივად უნდა ცდილობდეს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას. დადგენილია, რომ ამ მიზნის მისაღწევად ექიმმა ყოველდღიურად უნდა წაიკითხოს ხუთიდან ათამდე რეიტინგული სტატია სპეციალობის მიხედვით.

ცხადია, ეს თემა საკმაოდ აქტუალურია და ბევრს განსხვავებული აზრი შეიძლება ჰქონდეს. „აჭარა“ სიამოვნებით გამოაქვეყნებს საინტერესო მოსაზრებებს, როგორც მედიკოსთა, ისე საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდან.

ესაუბრა
მარინა მითაიშვილი

ნებისყოფისა და დიდი ფიზიკური ძალისხმევის ფასად

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბიზნესმენი რამინ შოთას ძე დავითაძე თბილისში საქმიანობს. საზოგადოება მას წარმატებულ, ქველმოქმედ, თანამდგომ ადამიანად იცნობს. რამინი ჩვენი გაზეთის სტუმარია

- 3 ათეული წელია მშობლიური გოგაძეები (გოგიეთი) დედასთან, და-ძმასთან ერთად დავტოვე. იმხანად მშობლიურ სოფელში აგრონომად ვმუშაობდი, თანაც სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ვსწავლობდი. 1989 წლის სტიქიურ მოვლენებს, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც დაერთო. სპეციალისტები სოფლების - ჯაბნიძეების (ჩემი დედულეთია), ტბეთისა და გოგაძეების დამეწყვრას ვარაუდობდნენ. იმ დროს გოგაძეები 110-მდე ოჯახს და 500-მდე მცხოვრებს ითვლიდა. აქ სახლობდნენ ისეთი სახელოვანი გვარების შთამომავლები, რომლებმაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ქვეყნის ისტორიაში. 15-ზე მეტი გვარის წარმომადგენლებიდან ზოგიერთი სოფელს საერთოდ აღარ ეკარება. კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობა ოთხჯერ შემცირდა. იყო წლები, როცა გოგაძეების სკოლა 190-ზე მეტ მოსწავლეს ითვლიდა. ახლა სოფელს ორი მოსწავლეღა შემორჩა. დედამ - სონია ზოსიძე-დავითაძემ მიიღო გადაწყვეტილება, გოგაძეები დაგვეტოვებინა. მანამდე, მამის რჩევით, უფროსი ძმა რეზო ბათუმში დასახლდა. ჩვენი ნათესავები და ახლობლები, ხელისუფლების შემოთავაზების საფუძველზე, გარდაბნის რაიონის მუხროვანის მეურნეობაში გადასვლის თადარიგს იჭერდნენ. დედამ მათგან გამოცალკევება არ ისურვა. იმ დროს მეურნეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. მეცხოველეობის ფერმაში, პურის ნათესებში, ძირითადად პატიმრები მუშაობდნენ. ჩვენგან გადასული შრომისუნარიანი კონტინგენტი მათ ჩაენაცვლა. მეც მეცხოველეობის კომპლექსში ხელმძღვანელ თანამდებობაზე დამნიშნეს. მალევე სხვადასხვა სფეროში დასაქმდნენ რამაზ, მინდია აბაშიძეები, დევი დავითაძე, ვალერიან ფევაძე და სხვები. გოგიეთიდან, ტბეთიდან გადასულებს, ჭვანის ხეობიდან, ხულოს მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულებიც შემოგვიერთდნენ. საზოგადოებას კარგად ახსოვს ის ფონდი, 1989 წელს სტიქიისგან დაზარალებულთა დასახმარებლად რომ შეიქმნა. ამ ფონდში მობილიზებული და ქვეყნის მაშინდელი მთავრობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, ჩვენთვის განკუთვნილი 100-მდე საცხოვრებელი სახლის კუთვნილი მიწის ტერიტორიები მონიშნეს, მშენებლობებიც დაიწყეს, მაგრამ პოლიტიკური პროცესების გამო კარგად დაწყებული საქმე ვეღარ დასრულდა. მეურნეობის ამორტიზებულ ბინებში ცხოვრებას ნახევრად აშენებულ, ჩვენთვის განკუთვნილ სახლებში გადასვლა და საკუთარი დანაზოგებით მათი კეთილმოწყობა ვამჯობინეთ. დიდი ნებისყოფისა და ფიზიკური ძალისხმევის ფასად, ცხოვრება მოვიწყვეთ, ტერიტორია, სადაც ადრე პატიმრები მუშაობდნენ, ქართულ სოფლად ვაქციეთ.

- ეს თითოეული თქვენგანისგან დიდ ენერგიას, თანხას, ფიზიკურ შრომას ითხოვდა.

- ახლა იმ თავდადებაზე საუბარი იოლია, მაგრამ ვერც იმ ფასდაუდებელ ამაგს დავივიწყებთ, აჭარიდან გადასულების მიმართ ქვეყნის, ქვემო ქართლისა და გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობა რომ იჩენდა. რამდენიმე ძალოვან სტრუქტურებში და სხვა სფეროებში დავსაქმდით. მე ახლად შექმნილი ოჯახი მყავდა. მამით ობოლს, ძმისა და დედის შემდეგ, დიდი დახმარება გამიწია სიმამრმა - შოთა მაკარაძემ. მას გარდაბნის რაიონში საცხოვრებლად გადასვლამდე საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა შუახევის რაიონში. მისი თანადგომით, თბილისში საცხოვრებელი გავიჩინე. მუხროვანი, გოგაძეების შემდეგ, ჩემს საფიცარ და სათაყვანებელ ადგილად იქცა. თბილისში საცხოვრებლად გადასვლა ერთგვარი წინაპირობა გახდა, რომ ბიზნესში ჩავრთულიყავი. 2004 წელს კომპანია „ახალი მთვარე“ დავაფუძნეთ.

- იმ დროს ბიზნესის წამოწყება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

- მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. დიდ საქმეს დიდი რისკი და გამბედაობაც სჭირდება. აქაც, მეუღლის - მარინა მაკარაძის, თანასოფლელი და თბილისელი მეგობრების თანადგომით, ქვეყნის ბაზარზე ადგილი მალე დავიმკვიდრეთ. ჩვენი დევიზი იყო და არის მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის მიწოდება, დროული დისტრიბუცია. გარკვეული გამოცდილება რომ შევიძინეთ, „ახალ მთვარეს“ შპს „მირა“ დავუმატეთ. ადრე თუ მარტო მუხროვანელებს, აჭარიდან სხვა ტერიტორიებზე გადასულ ნაცნობებს ვასაქმებდით, უკვე არეალიც გავაფართოვეთ. მომხმარებლები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გავიჩინეთ. ჩვენი ფირმის მარკით წარმოდგენილ გენერატორებს, ელექტრო და მექანიკურ ხელსაწყოებს, წყლის საქაჩებს, ელექტროსაქონელს მომხმარებელი იწონებს, წუნდებული პროდუქტი იშვიათობაა.

- სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტის წარმოებას ბინათმშენებლობაც შეუთავსეთ და ყურადღების მიღმა არც ბათუმი დატოვეთ.

- ბათუმი ჩემთვის სიყვარულისა და ურთიერთობის ქალაქია. აქ მრავალი მეგობარი მყავს. უფროსი ძმა რეზო ქალაქის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი იყო. ერთხანს, ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრსაც ედგა სათავეში. უმცროსი ძმა შალვაც აქ გადმოვიდა საცხოვრებლად. ჩემ მიერ აგებულ მრავალბინიან სახლში ერთი ბინა ჩემთვისაც მოვიწყვე. სხვა რომ არაფერი, ბათუმის მიწამ მიიბარა ჩემი უფროსი ძმა. საზოგადოება მას საქმეზე, პროფესიასა და მეგობრებზე შეყვარებულ ბათუმელად იცნობდა.

- შუახევსა და სოფელში მამათქვენიც გამორჩეული პიროვნება ყოფილა...

- მრავალწლიანმა მუშაობამ, უცხოელ და ადგილობრივ ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობებმა, საგადასახადო სამსახურებთან პატიოსანმა დამოკიდებულებამ ბევრი მასწავლა. ცხოვრების გზაზე წარმატებული საქმიანობის სათავედ მაინც მამაჩემს მივიჩნევ. მან შრომითი გზა სოფლის ბიბლიოთეკარობიდან დაიწყო. მას ძმასთან - დავითთან ერთად, სოფელსა და შუახევში ქველმოქმედ, პრინციპულ ხელმძღვანელებად იცნობდნენ. შუახევის რაიონი 60-იანი წლების მეორე ნახევარში ისევ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად რომ გამოცხადდა, მამის ხელმძღვანელობით რაიონში გოგაძეები ერთადერთი კოლმეურნეობა იყო, სადაც გლეხები წლის ბოლოს შრომადღეზე ფულს იღებდნენ, დანარჩენ სოფლებში დებიტორები რჩებოდნენ. მისთვის მთავარი თანასოფლელებზე ზრუნვა იყო. ხალხი უყვარდა და ხალხიც დიდ პატივს სცემდა. ახლა კომპანიაში 200-ზე მეტი ადამიანი მყავს დასაქმებული, არავის თანადგომას არ ვაკლებ, მსურს იმ დონემდე ავმაღლდე, რასაც ხანმოკლე სიცოცხლეში მიაღწია მამამ. ზოგჯერ, მამა შრომით გამოირჩევიან. მეც და ისინიც, სახელოვან პედაგოგებს - შოთა, ალექსანდრე ჯიბლაძეებს, მუხამედ ბათაძეს, აიშე შავაძეს, მურმან, ვაჟა თურმანიძეებს, ვაჟა ვახტანგაძეს, ახმედ ბერიძეს, ციალა ქამადაძეს ვემადლიერებით. სახელოვანმა წინამორბედებმა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გოგაძეები წარმატებულ სოფლად აქციეს. შვილებს ხშირად ვუყვები მათ შესახებ. ყველაფერს სიამაყით ვიხსენებ.

- მუხროვანში გადასულ გოგაძეებლებს საამაყოდ ისიც ეყოფათ, რომ იქ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ დისველში ეკლესიების მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი გაიღეს. ქველმოქმედებაში თქვენც ლომის წილი მიგიძღვით.

- უფალთან და საკუთარ თავთან მართალი არ ვიქნები, დედაქალაქში მცხოვრები შუახეველი დავითაძეების, მუხროვანელი დევი დავითაძის, მინდია, რამაზ აბაშიძეების, დისველში ხულოს რაიონის სოფელ წაბლანიდან გადასულების, რაც უპირველესია, ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, ჩემი თანახეობელის, მეუფე ეფრემის ამაგი არ დავიფასო. დედაჩემი, მუხროვანელი უხუცესები ახლად აგებულ ტაძარში მართლმადიდებლობას ეზიარნენ. ეკლესია რომ არა, ისინი ძირძველ მრწამსს ვერ დაუბრუნდებოდნენ.

- ბიზნესმენთა ნაწილი მედიასთან ურთიერთობას თავს არიდებს. თქვენ კომუნიკაბელური რესპონდენტი ხართ.

- ზოგიერთი ბეჭდურ მედიას ცოტა ალმაცერად უმზერს, მე პირიქით ვფიქრობ, გაზეთი, ჟურნალი თაობებს დღევანდელობას აცნობს და უნახავს. შოთა ჯიბლაძე მშობლიურ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა და მოგვიწოდებდა, ჟურნალ-გაზეთებს გავცნობოდით. სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, თანასოფლელს, მწერალ ემენ დავითაძეს ხშირად მოჰქონდა გაზეთი და ჩვენთვის საჭირო სტატიებს საჯაროდ გვაცნობდა. იქიდან მოყოლებული, ბეჭდურ მედიასთან ნორმალური დამოკიდებულება მაქვს. შთამომავლობას მდიდარ ბიბლიოთეკასაც ვუტოვებ.

- წმინდისერში ქრისტიანული სიწმინდე - ჯვარი აღმართეთ და იმ დღეს „გოგაძეობას“ დაუდეთ სათავე. მივიწყებას ხომ არ ეძლევა ეს წამოწყება?

- ვისაც სულეიმან კონცელიძის იუმორი, შაქირ აბაშიძის შრომისმოყვარეობა, ანზორ დავითაძის წიგნიერება, მუხრან ვახტანგაძის მკლავის ძალა, ძმების - შოთა და ემენ დავითაძეების საქვეყნოდ აღიარება, ასევე ძმების - შოთა და დავით დავითაძეების სოფელზე ზრუნვა, დავით მაისურაძის ფოტოხელოვნება, მუხამედ ბათაძის უბადლო მასპინძლობა, შაქირ, ალი კიკნაძეების შესრულებული მუსიკალური მელოდიები ახსოვს, იცის, რომ ამის დაკარგვა წარმოუდგენელია.

> *„დიდ საქმეს დიდი რისკი და გამბედაობაც სჭირდება. აქაც, მეუღლის - მარინა მაკარაძის, თანასოფლელი და თბილისელი მეგობრების თანადგომით, ქვეყნის ბაზარზე ადგილი მალე დავიმკვიდრეთ. ჩვენი დევიზი იყო და არის მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის მიწოდება, დროული დისტრიბუცია*

აჭარის უმაღლეს საბჭოში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების განხილვის პროცედურები იწყება

ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური ავრცელებს. მისივე ცნობით, გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს რიგით მე-3 სხდომაზე მიიღეს.

საკითხი ბიუროს უმაღლესი საბჭოს წევრმა დავით გაბაიძემ წარუდგინა, განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

ბიუროს გადაწყვეტილებით, შეიცვალა „მინისტრის საათის“ განრიგი. 21 აპრილს კანონმდებლები ერთდროულად მოუსმენენ აჭარის სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებს.

ასევე, ბიუროს წევრებმა განიხილეს და მხარი დაუჭირეს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატან ცვლილებასაც, რომელიც სხდომაზე საკანონმდებლო ორგანოს აპარატის უფროსმა ზურაბ ჭურკვეიძემ წარადგინა.

სხდომის დასასრულ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ კიდევ ერთხელ გამოხატა უკრაინელი ხალხისადმი სოლიდარობა და საკანონმდებლო ორგანოს წევრებს დაწყებული ჰუმანიტარული დახმარების გაგრძელებისაკენ მოუწოდა.

ამირან გურიელიძე

წელთა სიმრავლე გენეტიკურად მოსდგამთ

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

მტკიცე ოჯახი რომ ქვეყნის სიძლიერის ბალავარია, ყველამ იცის. ისიც ცხადია, რომ სამაგალითო ოჯახებს, სადაც სიყვარული და სიკეთე მეფობს, დაფასება და გამოჩინება უხდება. დღევანდელი წერილიც სწორედ ასეთი მაგალითის გამომზეურებისთვის დაიწერა

ნაზი დიასამიძეს და **გერონტი ცინარიძეს** წელთა სიმრავლე გენეტიკურად მოსდგამთ. ორივემ 8 ათეული წელი უკან მოიტოვა და დღესაც ჯანსაღად და მხნედ გამოიყურებიან. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გენებთან ერთად მათი თანხმობისა და სიყვარულის შედეგიცაა.

- ადამიანი წუთისოფელში რომ მოდიხარ, სიცოცხლეს უნდა გაუფრთხილდე. ამასთან მუდამ ცხოვრებისეული კატაკლიზმების, საბედისწერო მოვლენების მოლოდინში უნდა იყო. ყოველთვის ვლოცულობ, უფალს ვევედრები, შვილების სიმწარეს არ მოვესწრო. 6 შვილის დედას 18 შვილიშვილი, 25 შვილთაშვილი მომესწრო, 60 წლის წინათ მე და გერონტიმ ვიქორწინეთ. იქიდან მოყოლებული, შვილების, შვილიშვილების 20-ზე მეტ ქორწილს მოვესწარით. ახლაც ლევანი და კიდევ ოთხი რიგში დგანან, - ამბობს ნაზი.

60 წლის წინათ დაბაძველელმა მაყარმა პატარძალი ცინარეთში რომ ამოაცილა, უხვთოვლიანი ზამთარი მდგარა. ქორწილის თამადას - სამოლეთელ მემედ ბერიძეს ნეფე-პატარძლისთვის რაც უსურვებია, თითქმის ყველაფერი აუსრულდათ. 60 წლის განმავლობაში ვაზისა და ჭიგოს მსგავსად ერთმანეთს ამაგრებენ, კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი შრომით ოჯახსაც არგეს და ქვეყანასაც.

- ფიზიკური შრომა ჩვენთვის მოწოდება იყო და არასოდეს გვითაკილია. ადრეც და ახლაც სახალხო საქმეს ვემსახურებით. დაგვიფასდა შრომა. ნაზი რაიონული საბჭოს დეპუტატად იყო არჩეული, მე სამთავრობო ჯილდოები მაქვს მიღებული, - გვითხრა გერონტი ცინარიძემ.

80 წელს გადაცილებული წყვილი უქმად არც ახლაა. სოფელში მათი მამული ყველაზე კარგად არის მოვლილი. ზაფხული დადგება თუ არა, მთა ღომაზე პირუტყვს გარეკავენ. 6 მეწველ ძროხას და მის ნამატს უვლიან.

- მთავარი მაინც შთამომავლობაზე ზრუნვაა, - გვითხრა ნაზიმ, - მარგალიტებივით მიმობნეული არიან ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ. ადრინდელის მსგავსად ვეღარ მსტუმრობენ, სამაგიეროდ, ჩვენ მივდივართ მათთან. ყველაზე მეტად ჩაქვში წასვლა მიხარია. ჩემიანები იქ 10 ოჯახია. დედის საფლავიც იქაა.

- სოფლები ცარიელდება. არ გიფიქრიათ ბარში გადასვლაზე?

- ნახევარი საუკუნის წინათ დარგული, ჩვენი ნალოლიავები ხეხილი ბარაქიან მოსავალს იძლევა. მასთან ერთად დიდი ჯაფით აშენებული სახლი მისატოვებლად მენანება. ზამთარში თოვლზე დაცურებით მთა ღომას ტყიდან გამოვზიდეთ მორები. ნადური წესით მოგვქონდა განძელები და ისე ვაშენებდით. ეს ჩემი სავანეა. რძალი სკოლის დირექტორია. თავს გვევლება. სოფელი მასაც უყვარს, ოჯახში მისი შემოსვლის შემდეგაც ბევრი გავაკეთეთ. მაზლი, შალვა, კარის მეზობელია. მეუღლესთან ერთად ნახევარი საუკუნის განმავლობაში პედაგოგად იმუშავა, ახლა პენსიაზე არიან. სოფელს ისინიც ამაგრებენ. ეს ჩვენი სამყაროა. წასვლა არსად გვინდა.

- მრავალდარგოვანი მეურნეობა გაქვთ, უპირატესობას მაინც რას ანიჭებთ?

- მეცხოველეობასთან ერთად თამბაქოს გაშენებასაც დავუბრუნდით. ამ წამოწყების ინიციატორი რძალი ნათელა ბახტაძე იყო. ეს ტექნიკური კულტურა მწარმოებლისთვის ყოველთვის შემოსავლიანი იყო, მიწასაც, კარტოფილივით ან სიმინდივით, არ ფიტავს. ამ ეტაპზე სოფელში თამბაქოსნაირ მოგებას არცერთი კულტურა არ ტოვებს. ქვეყნის, რეგიონის სოფლის მეურნეობის სამინისტროების ხელმძღვანელებმა ეს წამოწყება უნდა დაინახონ და მხედველობაში მიიღონ.

- მეცხოველეობაც კარგ შემოსავალს ტოვებს...

- გეთანხმებით, მაგრამ დიდ ენერგიას, ფერმერის მიჯაჭვულობას ითხოვს. არც მთა ღომას მდელოა მაღალპროდუქტიული. ეს მთა ტურიზმისათვის უფრო გამოსადეგია, აქაური კლიმატი სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებებისაა, რაც პირადად გამოვცადე.

- რას უჩიოდით?

- ფილტვების სისუსტეს, მეც და გერონტიც. მთა ღომაზე რაც ზაფხულის გატარება დავიწყეთ, თავს ჯანსაღად ვგრძნობთ.

- თუ კურორტი იქნება, ნამეტ პროდუქტებსაც ადგილზე გაასაღებთ?

- მრავალმა ადამიანმა უკვე საზაფხულო სახლები მოიწყო მთა ღომაზე, ასე რომ, მათი გასაღება პრობლემა აღარაა, თანაც ფერმერებს კარგ თანხას გვიხდიან.

- 60 წელია, ერთად მოდიხართ. რაა მთავარი, ოჯახი რომ იდეალური იყოს?

- სიყვარული და თანადგომა. უფალმა სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს ჩემს დედამთილს. მან რძალ-შვილს ცხოვრება, სირთულეებთან გამკლავება გვასწავლა. შვილების გაზრდაშიც გვერდით მედგა. უფროსი ქალიშვილი ჭირვეული ბავშვი იყო. ღამით თვითონ პატრონობდა, ჩვენ დასაძინებლად გაგვიშვებდა. იგივეს ვიტყვი მამამთილზე. ისინი მაგალითს გვაძლევდნენ... ასე მოვდიოდით.

- როდის და როგორ გაიცანით თანამეცხედრე?

- მამამთილი დურგალი იყო. ნალიას გვიშენებდა, ერთხელ გერონტიც იახლა. დედამთილმა და უფროსი მაზლისშვილმა ჯეარინაპირებში პირუტყვის მწყემსობისას გამიცნეს. ბედს ვერსად გაექცევი, თუმცა ბედნიერი ვარ.

- მეოჯახის, მრავალშვილიანი დედის პატივს, ფერმერობას კიდევ სხვა სამადლო საქმეებს უთავსებთ?

- ესეც უფლის ნებაა. ჩემი აყვანილი ბავშვებიდან ყველა ცოცხალია, არც დედებს გაუარესებიათ ჯანმრთელობა. მიცვალებულის გაპატიოსნების რიტუალსაც მანდობენ. არც ესაა იოლი საქმე, მაგრამ მე თუ არა, სხვა ვინ შეძლებს?! მეუღლე ღვთისმსახურია და ესეც მავალდებულებს, წუთისოფლიდან ვალმოხდილი წავიდე.

- რა გრჩებათ განსაკუთრებულად სასიამოვნო მოგონებად?

- მანანას დაბადება... დედა გავხდი. ყოველთვის დალხინებული ცხოვრება არ გვქონდა. საკუთარი ჭერი რომ გავიჩინე, მანანა, შაქრო (მას სახელი მამამთილმა დაარქვა), მარინა მყავდა, ქეთინო, ტყუპები - ნესტანი და ფატმანი შემდეგ მაჩუქა უფალმა. შვილებთან, შვილიშვილებთან ფუსფუსი, მათი ბედნიერებით ტკბობა ყველაფერს გადაწონის.

დედისა და ქალთა კვირეულის დღეები იყო, როცა აჭარის მთიანეთის ლამაზ, თოვლის საბურველში გახვეულ სოფელ ცინარეთში ნაზისა და გერონტის ოჯახს ვსტუმრობდით. ყველა ინატრებდა იმ სიამტკბილობას, რაც 60-წლიანი თანაცხოვრების შემძლეებთან ვნახეთ. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი ერთი თხოვნაც დაგვაბარეს - წელსაც განცხადება შევიტანეთ მეურნეობისთვის თანადაფინანსებით საჭირო ტექნიკის შეძენაზე, იმედია, თხოვნას დაგვიკმაყოფილებენო.

ნუგზარ თებიძე – აჭარის ჩემპიონი ბილიარდში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის საბილიარდე კლუბში „პირამიდა“ სამ დღეს მიმდინარეობდა აჭარის ჩემპიონატი ბილიარდის სახეობაში „დინამიური პირამიდა“, რომელიც აჭარის ბილიარდის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა

დინამიურსა და თავისუფალ პირამიდას შორის დიდი განსხვავებაა. დინამიური უფრო რთულია სათამაშოდ - აქ ერთი წითელი ბურთულა გამოიყენება და შედარებით ბევრი ფიქრიც სჭირდება. ამ სახეობაში აჭარის ჩემპიონატი ბოლო ორი წელია, არ ჩატარებულა. ეს იყო საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის შესარჩევი ღონისძიება. როგორც აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ კახიძემ გვითხრა, ჩემპიონატში სულ 16 უძლიერესი მობილიარდე მონაწილეობდა.

- პანდემიის გამო, შევეცადეთ, ბევრი მონაწილე არ გვყოლოდა, უფრო ის ხალხი მოვიზიდეთ, ვისაც ნაკრებ გუნდში მოვიაზრებდით თელავში სათამაშოდ. სამწუხაროდ, მონაწილეობა ვერ მიიღო ერთ-ერთმა უძლიერესმა მობილიარდე ვიქტორ ფიფიამ, - აღნიშნა თემურ კახიძემ.

ტურნირი საინტერესო და მოულოდნელობებით იყო სავსე. ის, ვინც ნაკრებ გუნდში მოიაზრებოდა, მეორე ეტაპის შემდეგ გავარდა, გამოჩნდა ახალი სახეები. საბოლოოდ, ფინალში ორი უძლიერესი მოთამაშე გავიდა - სპორტის ოსტატი ნუგზარ თებიძე და გიორგი დიმიტრაძე. აქ თებიძემ იმარჯვა და გასული წლის საუკეთესო მობილიარდედ დასახელებული დიმიტრაძე დაამარცხა. რა თქმა უნდა, თელავში ორივე გაემგზავრება, მათთან ერთად კიდევ ოთხი მოთამაშე.

საქართველოს ჩემპიონატში 24 მობილიარდე იასპარეზებს - 8 თბილისიდან, 6 ბათუმიდან, დანარჩენი კი სხვა რეგიონებიდან.

ქვეყნის ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასული მობილიარდეები მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ, რომელსაც ყირგიზეთი უმასპინძლებს.

გერმანიის უმსხვილესი ენერგოკონცერნი რუსული გაზის შესყიდვას წყვეტს

როგორც E.ON-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ლეონჰარდ ბირნბაუმმა ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამის მიზეზი უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომია.

ცნობისთვის: E.ON-ი ევროპის ენერგეტიკული ქსელების უმსხვილესი ოპერატორია, რომელიც Nord Stream 1-ის 15,5%-იან წილს ფლობს.

ამირან გურიელიძე

„უკრაინა დღეს იბრძვის ჩვენი მომავლისთვის, უსაფრთხოებისა და მსოფლიოს მშვიდობისთვის“

მე-3 გვერდიდან

- როცა იქნება, ეს ომიც დასრულდება, მაგრამ მისი უკრაინისთვის სასურველად დასრულება რა ფაქტორებზეა დამოკიდებული?

- უკრაინის გამარჯვება ცალსახად დამოკიდებულია დასავლეთის და, ზოგადად, აშშ-ის ღია მხარდაჭერაზე. თუ იქნება მხარდაჭერა, უწყვეტი მომარაგება, მაშინ გაიმარჯვებს, ხოლო როგორც კი მოაკლდება მხარდაჭერა, რუსული სამხედრო მანქანა აუცილებლად დაძლევს. ამიტომაც ნატომ, ამერიკამ და უკრაინის მოკავშირეებმა მომარაგების უწყვეტი ჯაჭვის სტრატეგია უნდა შეიმუშაონ და ეს ქვეყანა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიატოვონ ასეთ მდგომარეობაში. სხვა შემთხვევაში უკრაინის სახელმწიფო აღარ იარსებებს, მსოფლიო არაპროგნოზირებადი გახდება. გამოდის, ყველა დიდ სახელმწიფოს შეეძლება შთანთქას პატარა სახელმწიფო და ის სამართლებრივი წესრიგი, როგორიც გვაქვს დღეს, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს და დავდგებით 1945 წლის ზღვარზე, ანუ ხელახლა უნდა დავამყაროთ წესრიგი... რუსეთი ისეთ მსოფლიო წესრიგზე არ მოაწერს ხელს, სადაც მისი ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული, დასავლეთი კი არ შეეგუება იმ გარემოებას, რომ გამარჯვებული რუსეთის გვერდით ვერცერთი პატარა სახელმწიფო, მით უფრო, რუსეთის მეზობელი, ვერ იქნება უსაფრთხოდ.

- რა გავლენა ექნება რუსეთის გაძლიერებას ან ფიასკოს უკრაინაზე?

- თუ რუსეთმა უკრაინაში საწადელს მიაღწია, მთელი მსოფლიო წესრიგი დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ და საქართველოს რა მომავალი ელის, ვერავინ იტყვის. მნიშვნელოვანია, რომ ომი შეწყდეს და რუსეთმა პატივი სცეს სუვერენული უკრაინის ინტერესებს.

- დაბოლოს, ჩვენმა ქვეყანამ რა უნდა მოიმოქმედოს, რომ რუსეთის ხელახალი აგრესიის ობიექტი არ გავხდეთ?

- ისევ და ისევ, გაწონასწორებული პოლიტიკაა საჭირო. მსოფლიომ უნდა დაინახოს - ჩვენ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, დასავლეთზე ორიენტირებული ქვეყანა ვართ და არ შევეგუებით იმ საერთაშორისო სამართლებრივ შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს უკრაინის დაცემას და ოკუპაციას. ჩვენ ახლავე უნდა ვთქვათ, რომ რუსეთის ასეთ გამარჯვებას ჩვენ არ გავიზიარებთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტში შეიარაღებული ძალით ვერ ჩავერევით, არ ვაპირებთ ძალით ჩვენი პრობლემების მოგვარებას, მაგრამ არ შევეგუებით რუსეთის მიერ უკრაინისა და საქართველოს ოკუპაციას. არ უნდა დავიშუროთ ძალისხმევა უკრაინელი ხალხის დახმარებისთვის. უკრაინა დღეს იბრძვის ჩვენი მომავლისთვის, უსაფრთხოებისათვის და მსოფლიოს მშვიდობისთვის.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რედაქციის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 16/03/22, 20 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„სპორტი პოლიტიკის გარეშე“ – ლოზუნგად რჩება, დღეს „ქულა, გოლი და წამიც“ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

კოლექტიურმა დასავლეთმა, სხვა სანქციებთან ერთად, რუსეთს სპორტული სანქციებიც დაუწესა. რა სახის შეზღუდვების და საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ რუსი სპორტსმენები, ამაზე საუბრობს ინტერვიუში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე სპორტის მიმართულებით ***ბადრი ნაკაშიძე.***

- მოდით, დღეისათვის აქტუალური საკითხით დავიწყოთ - შესაძლებელია სპორტი პოლიტიკის გარეშე?

- მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ - არა. სპორტს აქვს უნიკალური თვისებები, რომლებიც მას მსოფლიო პოლიტიკური ბრძოლის უძლიერეს ინსტრუმენტად აქცევს. ის გლობალურია და გააჩნია ადამიანების გაერთიანების უნარი, დროის მოკლე მონაკვეთში შეუძლია მოახდინოს სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა კონსოლიდაცია. ნიშანდობლივია, რომ „ცივი ომის“ პერიოდში დაპირისპირებულმა მხარეებმა სპორტი აქციეს პროპაგანდის ერთ-ერთ მთავარ იარაღად. როგორც აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი ეიზენჰაუერი აღნიშნავდა, სპორტს „ძალისხმევის გარეშეც კი შეუძლია გამოიწვიოს ყველაზე ფართო აუდიტორიის ინტერესი“. სწორედ ამიტომ, „სპორტი პოლიტიკის გარეშე“ ლოზუნგად რჩება. დღეს „ქულა, გოლი და წამიც“ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

- მიუხედავად ამისა, ბოლო დროს იყო მოწოდებები, რომ სპორტი და პოლიტიკა უნდა გაიმიჯნოს.

- ეს ეხებოდა მხოლოდ კონკრეტულ მატჩს დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ყველასთვის ნათელი იყო, რომ რაგბიში საქართველო-რუსეთს შორის მატჩის გამართვა თბილისში, უკრაინის საზღვრებთან არსებული დაძაბულობისა და შემდეგ, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალების შეჭრის ფონზე, რაზედაც სრულად იყო კონცენტრირებული ქართული საზოგადოების ყურადღება, მაღალი რისკების შემცველი იყო. ამ მატჩის გადადების ფაქტიც მოწმობს, რომ სპორტს შეუძლია გავლენის მოხდენა პოლიტიკაზე. ჩვენი ამოცანაა, რომ ეს გავლენა იყოს საქართველოს ინტერესებისათვის სასარგებლო და არა საზიანო.

- რა სანქციები დაუწესა კოლექტიურმა დასავლეთმა რუსეთის სპორტსმენებს?

- უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ რუსეთი სრულ სპორტულ იზოლაციაშია. მსოფლიო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოუწოდა ყველა სპორტულ ფედერაციას, შეწყვიტონ ურთიერთობა რუსეთის სპორტსმენებთან როგორც ნაკრების, ასევე საკლუბო დონეზე. საერთაშორისო სპორტული ფედერაციები თითქმის ყოველდღე ახალ შეზღუდვებს უწესებენ რუსეთის სახელმწიფოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებს, წყდება კონტრაქტები რუსულ კომპანიებთან, ფიფამ და უეფამ აუკრძალეს რუსეთის საფეხბურთო კლუბებსა და ნაკრებს საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობა, გაუქმდა ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელიც სანკტ-პეტერბურგში უნდა გამართულიყო, ასევე აეკრძალათ საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობა რუსეთის ჰოკეისტებს, კალათბურთელებს, მოციგურავეებს, ფრენბურთელებს, ხელბურთელებს. საწყლოსნო სპორტის მსოფლიო ფედერაციამ გააუქმა ყაზანში დაგეგმილი მსოფლიო თასის ტურნირი, ასევე, გაუქმებულია ქალაქ სოჭში დაგეგმილი „ფორმულა-1“-ის გრან-პრი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ხანტი-მანსიისკში და მრავალი სხვა.

- რას ნიშნავს სპორტსმენის საერთაშორისო შეჯიბრებებიდან „ჩახსნა“?

- ეს უფრო ვიწრო ტერმინია და გამოიყენება ცალკეულ სპორტსმენთან მიმართებაში, როდესაც დადგენილი წესების დარღვევის გამო, სპორტსმენს ეკრძალება შეჯიბრში მონაწილეობა ან მისი გაგრძელება. ეს ხდება ექიმის, მწვრთნელის ან მსაჯის გადაწყვეტილებით. ასევე შესაძლებელია სპორტსმენის მიერ უკვე მიღწეული შედეგის გაუქმება, თუ დადგინდა, რომ ის მოპოვებულია წესების დარღვევით. მსგავსი შემთხვევები ბევრია საერთაშორისო პრაქტიკაში, მათ შორის, რუსეთის სპორტსმენთა მიმართაც. მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, უპრეცედენტოა თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე და ნიშნავს, რომ რუსეთს აღარ უტოვებენ ადგილს მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახში. წარმოიდგინეთ, ის ფედერაციებიც კი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ რუსეთის მოქალაქეები, იძულებული არიან, შეუერთდნენ არსებულ სანქციებს. მაგალითად, მსოფლიო საჭადრაკო ფედერაცია, სპორტული სროლის მსოფლიო ფედერაცია, ფარიკაობის... ეს არის რუსეთის სპორტის სრული „ჩახსნა“ მსოფლიო სპორტიდან.

- რა გავლენას იქონიებს სანქციები და დასავლეთის მკაცრი დამოკიდებულება სპორტსმენებსა და სპორტზე?

- ძალიან ცუდს. სპორტისათვის ეს დამღუპველია და რუსეთშიც ხვდებიან ამას. თუ მიაღევნებთ თვალს რუსეთის სპორტის მესვეურთა რეაქციებს, ჩანს, რომ მათ არ აქვთ არც ყალბი სიხარული და არც მოჩვენებითი გულგრილობა. რუსეთი კოლოსალურ თანხებს დებდა სპორტში სწორედ იმ მოლოდინით, რომ ყოფილიყო მსოფლიო სპორტის ავანგარდში. დღეს ეს პერსპექტივა განულდა.

- საბჭოთა კავშირის დროს საკუთარ შეჯიბრებებს მართავდნენ რესპუბლიკებს შორის, თუმცა, რკინის ფარდის მიუხედავად, მაინც გადიოდნენ უცხოეთში, ანუ უკვე კარგა ხანია, რუს სპორტსმენებს ვერ წარმოუდგენიათ თავი საერთაშორისო არენის გარეშე.

- დიახ, ახლაც შეუძლიათ ჩაანაცვლონ ევრაზიის ან დსთ-ს ქვეყნების ტურნირებით, მაგრამ ეს კონკურენციის სულ სხვა დონეა. არა მგონია, რუსეთის სპორტსმენები, რომლებიც ყოველთვის ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობდნენ, ასეთ ალტერნატივას დასჯერდნენ. მსგავსი დემოტივაციის პირობებში არ არის გამორიცხული, ბევრმა მათგანმა, უბრალოდ, დატოვოს სპორტი.

- რამდენად მისაღებია, პუტინის აგრესიის გამო დასაჯო სპორტსმენები?

- სამწუხაროა ეს... არც იმას ვფიქრობ, რომ ისინი, ვინც მსგავს გადაწყვეტილებებს იღებენ, ხალისით აკეთებდნენ ამას. თქვენ სწორად სვამთ კითხვას - სპორტი, ამ შემთხვევაში, გამოიყენება როგორც ზეწოლის ბერკეტი რუსეთის ხელისუფალზე, რათა შეწყდეს ომი და თუ მსოფლიო სპორტი შეძლებს თავისი როლის შესრულებას მშვიდობის დამყარებაში - დაე, იყოს ასე! არაფერია ადამიანის სიცოცხლეზე ღირებული.

- როგორ ფიქრობთ, ომის დასრულების შემთხვევაში მოიხსნება ეს სანქციები?

- თუ თქვენ გულისხმობთ ომის დასრულებას საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების დაცვით - დიახ, ეს ძირითადი პირობაა, თუმცა, საერთაშორისო თანამეგობრობა, კონფლიქტის მხარეები უნდა შეჯერდნენ მყარ გარანტიებზე, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

- რა შეიძლება იყოს ასეთი გარანტიები?

- ეს საკითხი სცილდება სპორტის თემას... ერთი შემიძლია გითხრათ დანამდვილებით - სპორტი ქმედითი დიპლომატიური ინსტრუმენტია, მას უდიდესი პოტენციალი გააჩნია ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენაში და ეს არ ეხება მხოლოდ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს.

- რუსი ტურისტების ნაკადი მოაწყდა საქართველოს, როგორც ამბობენ - ბიზნესმენები. შესაძლოა თუ არა, რუსმა სპორტსმენებმაც დატოვონ რუსეთი და რა ელის ამ შემთხვევაში მათ სპორტულ კარიერას - უცხოურ კლუბებში ითამაშებენ თუ ისევ რუსეთის სახელით გამოვლენ?

- საქართველო ყოველთვის იყო მიმზიდველი ქვეყანა არა მხოლოდ რუსებისთვის. ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც იმყოფება საქართველოში, უნდა იყოს კანონმორჩილი და პოლიტკორექტული. შექმნილ ვითარებაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მივესალმოთ ტურისტსაც, ბიზნესმენსაც და სპორტსმენსაც. მინდა სწორად გამიგოთ - არავის მოვუწოდებ, დატოვონ თავიანთი ქვეყნები და სხვაგან გადასახლდნენ, მაგრამ თუ მათი არჩევანია საქართველო - ეს უნდა გაითვალისწინონ. ჩვენ გვაქვს არაერთი მაგალითი, თუ როგორ იცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას სხვა ეროვნების სპორტსმენები. თუ მათ რიცხვს სხვებიც შეუერთდებიან (არა მხოლოდ სპორტის სფეროში) და ასახელებენ ჩვენს ქვეყანას, ხელს შეუწყობენ მისი ეკონომიკის განვითარებას - ეს მხოლოდ დადებით მოვლენად შეიძლება განვიხილოთ. სხვა ქვეყნების მაგალითიც ამას ადასტურებს. იგივე აშშ - ნახეთ რამდენი ემიგრანტი გახდა ცნობილი სპორტსმენი, მეცნიერი, მომღერალი, მსახიობი და თითოეული იმ ქვეყნის პატრიოტია.

- ბატონი ბადრი, თუ შეიძლება, ჩვენი სპორტსმენების მიღწევებზეც ვისაუბროთ.

- სიამოვნებით. გასული წლით დავიწყებ, რომელიც რთული, მაგრამ წარმატებული იყო. ჩვენმა სპორტსმენებმა ჯამში მოიპოვეს 280 მედალი, მათ შორის 90 ოქრო, 77 ვერცხლი და 113 ბრინჯაო. რაც შეეხება მიმდინარე წელს, ჩვენ უკვე გვყავს ევროპის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - დიეგო ჩხიკვაძე. სხვათა შორის, ამ ტურნირზე, რომელიც ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში გაიმართა, საქართველოს ნაკრები გუნდური მონაცემებითაც პირველ ადგილზე გავიდა და მის უახლოეს კონკურენტს, მეორე ადგილზე გასულ თურქეთის ნაკრებს 27 ქულით გაუსწრო. იქვე, ბულგარეთში, მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ჩვენი რეგიონის წარმომადგენელი, საქართველოს ნაკრების წევრი რამაზ თურმანიძე ნახევარფინალში გავიდა. მინდა შემდგომი წარმატებები ვუსურვო მას. ახლახან დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კრივში, რომელსაც ბათუმის ახალი სპორტის სასახლე მასპინძლობდა. შთამბეჭდავია სპორტის ამ სახეობაში აჭარის ნაკრების სპორტსმენთა მიერ მიღწეული წარმატებები - ბიჭებში გვყავს ორი ჩემპიონი, სამი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მფლობელი, ხოლო გოგონებში - ორი საქართველოს ჩემპიონი და სამი ვერცხლის მედალოსანი. დღეის მონაცემებით, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩატარებულია ათამდე საქართველოს ჩემპიონატი, სადაც ჩვენი სპორტსმენები ასევე წარმატებულად გამოდიან. ძირითადი სპორტული ღონისძიებები მაინც ზაფხულ-შემოდგომისათვის იმართება და შედეგებსაც შემდეგ გავაცნობთ საზოგადოებას.

- რა მდგომარეობაა ახლა ამ სფეროში? პანდემია თითქოს მიყუჩდა, მაგრამ ომმა სხვა შეზღუდვები დააწესა.

- ჩვენ ვმუშაობთ დასახული გეგმის მიხედვით. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, წელს სპორტის ბიუჯეტი გაიზარდა ჯილდოებისა და ღონისძიებების ნაწილში, რაც სპორტულ ფედერაციებს შესაძლებლობას მისცემს, უფრო თამამად დაგეგმონ ღონისძიებები, ჩვენმა სპორტსმენებმა კი რაც შეიძლება მეტი გამარჯვება მოუტანონ რეგიონს და საქართველოს. თებერვლიდან ექსპლუატაციაში შევიდა მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე (მისამართი: ლეონიძის ქ. №15), სადაც 10 სპორტულ დარბაზში 16 სპორტის სახეობა განთავსდება. ბიუჯეტის კორექტირებისას ვგეგმავთ სპორტული ინვენტარის ეტაპობრივ განახლებას (სამწუხაროდ, პანდემიამ არ მოგვცა ამის დროულად გაკეთების შესაძლებლობა). შედგა შეთანხმება სათამაშო სპორტის სახეობების ახალ სპორტულ კომპლექსში (რომელიც მდებარეობს ყინულის სასახლის მიმდებარედ, ლადო ასათიანის ქ. №27-ში) ჩვენი სპორტსმენების გადასვლაზე. ორივე მისამართზე ბათუმის მერიის ავტოტრანსპორტის სამსახურმა უზრუნველყო შესაბამისი მუნიციპალური ტრანსპორტი. გვაქვს მოლოდინი, რომ ახალი სპორტული კომპლექსების ექსპლუატაციაში შესვლა უფრო გაზრდის სპორტის მიმდევართა რაოდენობას, მოიმატებს ბავშვთა სპორტული სექციებიც.

- სპორტული მედიცინის მიმართულებით ჩასატარებელ სამუშაოებზე დღეს ხშირად საუბრობენ. რამდენად არის ეს სფერო თქვენი ყურადღების საგანი?

- ეს სპორტული ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელია და სწორედ ახალ სპორტის სასახლეში გათვალისწინებულია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი სპორტულ-სამედიცინო ლაბორატორიის განთავსება. აქ მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი ჩაატარებს სპორტსმენთა სამედიცინო კვლევას, შეფასდება მათი ფიზიკური შესაძლებლობები, რაც მწვრთნელებს მისცემს საშუალებას, სწორად დაგეგმონ სავარჯიშო პროცესი; აქვე იქნება მასაჟის ოთახი და სატრენაჟორო დარბაზი სპორტსმენთა რეაბილიტაციისთვის. საკითხს თუ უფრო მასშტაბურად მივუდგებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო გეგმავს საქართველოში სპორტსმენთა სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნას. აჭარა, თავისი ბუნებრივი ღირსებებით და პროფესიონალი მედიკოსებით, კარგი არჩევანი შეიძლება იყოს ასეთი ცენტრის განსათავსებელად.

- ინფრასტრუქტურის ნაწილში ხომ არ გაქვთ სიახლეები?

- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით, ჩაქვში სრულდება თანამედროვე სტანდარტების ძალოსნობის კომპლექსი, სადაც ასევე იქნება კომპაქტური სასტუმრო, კვების ობიექტი და საკონფერენციო დარბაზი. ეს ხელს შეუწყობს როგორც მაღალი კატეგორიის შეჯიბრებების, ასევე, სპორტული შეკრებების ჩატარებას. ბათუმში წელს დაიწყება და ვფიქრობ, მომავალი წლისთვის დასრულდება სამინისტროს ბალანსზე არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია. პროექტის წინასწარი მონახაზით, აქაც იქნება ღია და დახურული სტანდარტული კორტები, სასტუმრო, კაფე, სატრენაჟორო ოთახი. ბათუმში წელს დაიწყება ოლიმპიური სტანდარტების ახალი საცურაო აუზის მშენებლობა, იქვე, ლადო ასათიანის ქუჩაზე, აშენდება ახალი ყინულის სასახლე, ქობულეთში - თანამედროვე სტანდარტების სპორტის სასახლე, რომელიც ასევე, აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსდება. გარდა ამისა, ჩვენ ოფიციალურად გამოვითხოვეთ ინფორმაცია აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან და შემიძლია გითხრათ, რომ ყველა მათგანის ბიუჯეტში ჩასმულია სხვადასხვა მასშტაბის სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს რაიონებში და სოფლებში სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

სანაკრებო მატჩების წინ

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი მოახლოებული ამხანაგური მატჩებისთვის (ბოსნიასა და ალბანეთთან) შემადგენლობას მიმდინარე კვირის ბოლომდე დაასახელებს. მათ შორის თორნიკე ოქრიაშვილიც უნდა იყოს, მანამდე კი Protathlima წერს, რომ „აპოელის“ თავკაცმა ავგუსტის სოფრონისმა ქართველ ფეხბურთელს იდეალური პოზიცია მოუძებნა. გამოცემის მიხედვით, აეკ-თან სტუმრად (2:1) მეორე ტაიმში კარგ თამაშში ოქრიაშვილის მარჯვენა ფლანგზე გადაყვანამ დიდი წვლილი შეიტანა - „მან თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა და კლუბის მაისურით ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა გამართა“. ნიქოზიელები პირველი ნახევრის შემდეგ აგებდნენ, თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ მე-8 წუთზე გამარჯვება გაიფორმეს. თორნიკემ მინდორზე 82 წუთი დაჰყო.

30 წლის ოქრიაშვილმა მიმდინარე სეზონში 18 მატჩი გამართა და 2 გოლი გაიტანა. მას საქართველოს ნაკრების შეტევაში ყველა პოზიციაზე უთამაშია.

ამირან გურიელიძე